საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 28 ოქტომბერი, 2014 წელი.

№219 (7600)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჭიანებით ბეჭითის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ორი წლის წინათ ყველამ ერთად შევცვალეთ ჩვენი ცხოვრება

გზად მომავლისკენ!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აჯამებს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის 2 წელს

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საზოგადოების წინაშე 2-წლიანი ანგარიშით წარდგენისას აფხაზ და ოს ხალხს მიმართა და მათ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში ავტონომია და ევროპული პერსპექტივა შესთავაზა.

„საქართველომ ბევრი რამ გამოიარა. ჩვენმა ომებმა მძიმე კვალი დატოვა თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში. ჩვენ ტერიტორიაზე გამყოფი, საოკუპაციო ხაზები არსებობს. არსებობს სოფლები, რომლებსაც ჩვენი თანამემამულეები, გადატანილი უდიდესი სტრესისა და ტრავმის მიუხედავად, არ ტოვებენ და უმძიმეს პირობებში აგრძელებენ ცხოვრებას. ჩვენ მათ უყურადღებოდ არ ვტოვებთ – 39 სოფელში უკვე აღვადგინეთ სარწყავი წყლის მიწოდება, შეკეთებულია გზები, ავაშენეთ ამბულატორიები, გაზიფიცირებულია 58 სოფელი. 50 სოფლის 11 000-ზე მეტმა ოჯახმა ზამთარში გათბობისთვის 200-ლარიანი დახმარება მიიღო. სახელმწიფო დაფინანსება მიიღეს იმ სტუდენტებმა, რომლებიც გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებიდან არიან“.

იხ. 2-3 გვ.

შავი შაბათის ჩანაწერები

სიტყვითმკვლელთა კასტა

25 ოქტომბერს ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ეთერში ბრალდებულმა მიხეილ სააკაშვილმა (ბრიუსელიდან!) იმდენი სისულელე გადმოაფრქვია, რომ კიდევ ერთხელ გაგვაოცა და დაგვზაფრა: **პროვინციელი რუსი ოლიგარქის, უვიცი და უწიგნური ბიძინა ივანიშვილის მხრიდან ჩემი საყვარელი ქვეყნის პრივატიზებას ვერ ავიტან და ქვეყნის გადარჩენისთვის ბრძოლას ვიწყებო!**

აი, ბრალდებული და ძებნილი ნაძირალას მონანიება და სინანული...

რით ვერ შეიგნო „ქართულმა ოცნებამ“, რომ მიხეილ სააკაშვილის და მთელი ნაციონალური მოძრაობის გამოსწორება, მათთან კოჰაბიტაცია, მორალსა და ზნეობაზე ლაპარაკი წყლის ნაყვაა!

ავყია, არამზადა, სიცრუის ამაოდმეტყველ მიშას, ნაცხროვის ახალ აღმასრულებელ მდივანს ზურაბ ჯაფარიძეს, ქართველი ხალხის სისხლისმწოველ წურბელებს – გივი თარგამაძეს, აკო მინაშვილს, გიგა ბოკერიას, მიხეილ მაჭავარიანს, ზურაბ ჭიაბერაშვილს, გიორგი ბარამიძეს, კობა ხაბაზს, ხათუნა გოგორიშვილს, ირმა ნადირაშვილს, ჩიორა თაქთაქიშვილს და სხვებს, აგრეთვე, ნაცისტი არასამთავრობოების და „თავისუფალი ზონის“ ახალგამოჩეკილ მიშისტებს თუ სამაგიეროს არ მივუზღავთ, საერთოდ, ამ ანტიქართულ, ანტიმართლმადიდებლურ, ანტისაკაცობრიო ღირებულებების შემბილწველ პარტიას ძირფესვიანად არ ამოვძირკვავთ, ახალი სამოქალაქო ომი და საქართველოს დაღუპვა გარდაუვალია!

გაბრაზებული მიშა, ეს უდღეური „ფიუერერა“ სწორედ ახალი სამოქალაქო დაპირისპირებისკენ მოუწოდებს ქვეყანას. 15 ნოემბერს საპროტესტო აქციას (ევროპიდან!) აანონსებს და ძველებურად, პუტინისა და ივანიშვილის ლანძღვა-გინებით სატელევიზიო სივრცეს აბინძურებს!

ის რაც დღეს ხდება „კერძო, კომერციულ“ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ზე, ის რაც დღეს ხდება მიშაზე ორჯერ უფრო საშიშ, არამზადა და ქვეშქვეშა ნიკა გვარამიას კანტორაში, ის რაც დღეს ხდება გიორგი გაბუნიას, დავით კიკალიშვილის, ვანო ჯავახიშვილის გადაცემებში, „კომედი შოუს“ პროვინციულ სკეტჩებში, ის რაც დღეს ხდება „კურიერის“ ყოველ გამოშვებაში, ჩვეულებრივი პანდორას ყუთის ჟურნალისტური სიბინძურე კი არ არის, არამედ ნაციონალების პოლიტიკურ-იდეოლოგიური ზრახვების გამიზნული აფიშირებაა!

ვინმე დამისახელებს (ამერიკისა და ევროპის მასშტაბით) ტელევიზიას, რომელიც მხოლოდ ერთ ოპოზიციურ პარტიას აქებდეს და მმართველ ძალას მიწაში დებდეს???

ეს ხომ საკუთარი ხალხის, ამომრჩევლის აბსოლუტური უმრავლესობის წინააღმდეგ მიზანმიმართული გასროლაა!

რომელი კომერციული ტელევიზია გაბედავს ამას?

ეს ხომ თავქარიანი, სამარცხვინო და სასაცილო მიშას ჭკუაზე თამაშს ნიშნავს?

(როგორც ჩანს, ნაცების ფინანსების ხათრით და ნულოვანი ტოლერანტობით გამორჩეული კაცისმკვლელის შიშით „რუსთავი-2“ დიდი ხანია საერთაშორისო და ქართული ჟურნალისტური ეთიკის, ზნეობის და მორალის მიღმა აღმოჩნდა! **ტელეკომპანია სიტყვითმკვლელთა კასტად ჩამოყალიბდა!**).

და ეს ყველაფერი, ისევ და ისევ, ხელისუფლებაში დაბრუნების ავადმყოფური სურვილით შეპყრობილი ნაცების ბრალია, რადგანაც:

ნაციონალური ხროვა ოპოზიციური ძალა კი არა, ქართული სახელმწიფოებრიობის მტერია და ეს მტრობა არ უნდა ვაპატიოთ.

ნაციონალური მოძრაობა ჯანსაღი ოპოზიცია კი არა, ნამდვილი შავი ჭირია და ამ ჭირისგან რაც შეიძლება მალე უნდა განვთავისუფლდეთ!

სპარტაკ ქობულია

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ორი წლის წინათ ყველამ ერთად შევცვალეთ ჩვენი ცხოვრება

(პირველი გვერდიდან)

„მინდა, კიდევ ერთხელ შევეხმინო ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს – ჩვენ ერთი მიწის შვილები ვართ, ეს არის ჩვენი ტერიტორია, ერთი ტკივილი გვაერთიანებს და ერთად უნდა გავაგრძელოთ გზა მომავლისაკენ. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მივულოცო აფხაზური ენის დღე ჩვენს აფხაზ ძმებს, რომელსაც ისინი დღეს, 27 ოქტომბერს აღნიშნავენ. დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ ჩვენთან ერთად, მხოლოდ ევროპული პერსპექტივების მქონე საქართველოსთან ერთად შეძლებენ ჩვენი აფხაზი ძმები საკუთარი ენის, კულტურის შენარჩუნებას. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. მინდა, მათ კიდევ ერთხელ კარგად გააცნობიერონ, იფიქრონ მათ შვილებზე, მომავალ თაობაზე, როგორ ხედავენ ისინი პერპექტივას, როგორ წარმოუდგენიათ საქართველოს გარეშე მათ ცხოვრება, განვითარება, წინსვლა. ძალიან რთულია, როდესაც სხვის ტერიტორიაზე მოინდომებ ე.წ. დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას – არ მოხდება ეს, მეგობრებო, არასოდეს მოხდება. ეს არის მიუღწეველი, უტოპიური გეგმა, რომელსაც არც ჩვენი თაობა, არც მომავალი თაობა, არასოდეს შევეგუებით, იმიტომ რომ ეს არის ჩვენი ძირძველი ტერიტორია, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა საკუთარი სისხლით შემოგვინახეს დღემდე. თქვენ ვერ იქნებით ბედნიერი ჩვენს გარეშე და ჩვენ ვერ ვიქნებით ბედნიერი თქვენს გარეშე“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, მისი სურვილია ნდობის აღდგენა.

„ჩვენ ძალიან მძიმე წარსული გადავიტანეთ ყველამ ერთად, იყო ძალიან მძიმე შეცდომები, მაგრამ ჩვენ ვცხოვრობთ 21-ე საუკუნეში და ჩვენ გთავაზობთ, ვიცხოვროთ ერთიან, ძლიერ საქართველოში. მე მჯერა, რომ თქვენ შეიძლება ჯერ კიდევ გაქვთ ნდობის პრობლემა, მაგრამ შეხედეთ ჩვენს პოლიტიკას, ჩვენს მიდგომას. ჩვენ რეალურად გვაქვს ძალიან დიდი წინსვლის პერპექტივა, მაგრამ ჩვენ არ გვინდა განვითარება თქვენს გარეშე. ასე რომ, კიდევ ერთხელ, მინდა მოგიწოდოთ ყველას – ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს, კიდევ ერთხელ კარგად გააანალიზეთ და დაფიქრდით, რომ ეს არის ერთიანი საქართველოს ტერიტორია. თქვენ იყავით ავტონომიური რესპუბლიკა და ჩვენ გთავაზობთ იმავეს, რომ გქონდეთ ავტონომია, მაგრამ ერთიანი, ძლიერი საქართველოს ფარგლებში და ვიცხოვროთ მშვიდად. ეს არის ჩემი კიდევ ერთი ძმური და მეგობრული შემოთავაზება“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

* * *

პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, 20 წლის განმავლობაში ქვეყანაში წელს პირველად შემცირდა სიკვდილიანობა და დაფიქსირდა პენსიონერთა რიცხვის ზრდა. როგორც ღარიბაშვილმა მთავრობის 2-წლიანი საქმიანობის ანგარიშის წარდგენისას განაცხადა, ეს არის სახელმწიფო პოლიტიკის შედეგი და ეს მოიტანა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ.

„რეგიონებში, სოფლებში, ქალაქში, როცა შვილიშვილი მიდის სახლში და აღარ იჭერენ, აღარ იჭერენ უსამართლოდ, მოხუცებულებს, ბებიებს, ბაბუებს ნაკლებად მოუწევთ ნერვიულობა, ნაკლები სტრესი აქვთ და, ბუნებრივია, ეს არის ყველაფერი, რაც აისახება მათ ჯანმრთელობაზე. ამას ემატება ის, რომ სახელმწიფო ზრუნავს მათ ჯანმრთელობაზე და მივიღეთ პირველად პოზიტიური შედეგი“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

ირაკლი ღარიბაშვილის ინფორმაციით, რეგიონებში აშენდა და მოეწყო 82 ამბულატორია და 30 პროცენტით გაზარდეს სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი.

ჩვენ დავიწყეთ კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტი, რომლის ინიციატორი ბატონი ბიძინა ივანიშვილია – ზუგდიდში, სოფელ რუხში დაიწყო მულტიპროფილური, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა. ეს კლინიკა იქნება ძალიან დიდი შესაძლებლობა არა მხოლოდ სამეგრელოს რეგიონისთვის, არამედ ჩვენი აფხაზი ძმებისთვისაც“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერმა ისაუბრა C ჰეპატიტის შესახებაც, რომელიც, მისი თქმით, გადაუჭრელ პრობლემად ითვლებოდა.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, ათასობით პაციენტი სამკურნალო მედიკამენტებზე 60-პროცენტიანი ფასდაკლებით სარგებლობს დღეს.

„ეს ძვირადღირებული მედიკამენტებია, ჩვენ კი ამ მხრივ C ჰეპატიტით დაავადებულებს მაქსიმალურად შევუმსუბუქეთ პირობები. ამ პროგრამით, 2 ათასამდე პაციენტმა ისარგებლა და დაიზოგა 2 მილიონ 315 ათასი ლარი. გარდა ამისა, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია და მნიშვნელოვანია, C ჰეპატიტის მკურნალობა სრულიად უფასოა პატიმრებისთვის. 1000 დაავადებული პატიმრის მკურნალობისთვის სახელმწიფო 6 მილიონ ლარს ხარჯავს. უკვე განიკურნა 173 პატიმარი. ეს შეიძლება დაუჯერებელი იყო 2 წლის წინ. როგორ წარმოგიდგენიათ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება და მისი ჯალათები უმკურნალებდნენ პატიმრებს ციხეში და დახარჯავდნენ 6 მილიონ ლარს? მაგრამ ჩვენ ეს რეალობა შევცვალეთ. აი, ეს არის ჩვენი მიდგომა პატიმრების მიმართ და არა მათი ტანჯვა-წამება -გაუპატიურება, რაც, ფაქტობრივად, ნორმად იყო ქცეული წინა წლებში. ის თანხა, რაც C ჰეპატიტის მკურნალობისთვის გამოყო ჩვენმა მთავრობამ, თავისუფლად ააშენებდა, მაგალითად, ანბანის კოშკის მსგავს შენობას. ჩვენ არც აქ დაგვისვამს კითხვა: 40-მილიონიანი თვალისმომჭრელი სრულიად უსარგებლო შენობა თუ მძიმე სენისგან განკურნებული ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობა, პარლამენტის მსგავსი, 340-მილიონიანი შენობა თუ გლეხების დახმარება“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერმა ყურადღება გაამახვილა „სოლიდარობის ფონდის“ შექმნაზე, რომელიც მძიმე ავადმყოფებს ეხმარება, რომელთაც ძვირადღირებული მკურნალობის სახსრები არ აქვთ.

„2 თვის განმავლობაში ფონდში მობილიზებულია მილიონ ლარამდე თანხა. უკვე დაფინანსდა ონკოლოგიური დაავადების მქონე 25 ბავშვის მკურნალობა.

პრემიერმა ისაუბრა გაზრდილ პენსიაზე და ყველა კატეგორიის პენსიონერისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირისთვის დახმარებაზე.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, გაორმაგეს დახმარება სოციალურად დაუცველებისათვის, ასევე, დევნილთა და ლტოლვილთა შემწეობები. მისი თქმით, დანაპირები, რომ პენსია საარსებო მინიმუმის ტოლფასი გახდებოდა, ეს შესრულებულია.

„დღეს საქართველოში საარსებო მინიმუმი არის 148 ლარი. ვიცი, რომ ეს ცოტაა, მაგრამ მჯერა, რომ ამას გავაორმაგებთ წლების შემდეგ. დევნილები წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ აბსოლუტურად უღირს პირობებში, მათი მდგომარეობა დღესაც მძიმეა. 2012 წლის ოქტომბრიდან დევნილებს სოციალური პაკეტის ფარგლებში 14,5 მილიონი ლარის დახმარება გაეწიათ.

საცხოვრებლით უკვე უზრუნველყოფილია 10 ათას 500 დევნილი. 1 ლარად საცხოვრებელი ფართობი დაუკანონდა და კერძო საკუთრებაში გადაეცა 4 ათასამდე ოჯახს. ჩვენი მიზანია არც ერთი დევნილი არ დარჩეს საკუთარი ჭერის გარეშე.

კიდევ ერთი პრობლემა, რომლის გადაჭრაც უკვე გადავდგით კონკრეტული ნაბიჯები, ეხება დემოგრაფიას. დემოგრაფიული ბალანსის გაუმჯობესებისთვის, საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც შობადობის მაჩვენებელი დაბალია, გაიცემა ფინანსური დახმარება ყოველ მესამე და შემდგომ ბავშვზე – მთაში – 200 ლარი, ბარში კი – 150 ლარი. ეს იქნება დიდი სტიმული ახალგაზრდა ოჯახებისთვის“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

* * *

პრემიერის თქმით, მთავრობამ დაიწყო კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის, ძეგლთა აღდგენისა და დაცვის ისეთი მასშტაბური პროექტები, როგორიცაა მუცოს გადარჩენა, ჩაჟაშისა და დართლოს რეაბილიტაცია.

ირაკლი ღარიბაშვილმა სპორტზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ ხორციელდება სპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა, რისთვისაც 47 მილიონამდე ლარია გამოყოფილი.

„გარდა ამისა, ვახორციელებთ სპეციალურ პროგრამებს ახალგაზრდებისთვის. გვაქვს მნიშვნელოვანი წარმატებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ამჟამად ვემზადებით 2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადის მასპინძლობისთვის, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ყველა საერთაშორისო სტანდარტის დაცვით ჩავატარებთ. 2015 წელს თბილისში ჩატარდება უეფა-ს სუპერთასის ფინალური მატჩი, რაც ნამდვილი დღესასწაული იქნება ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის“, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

* * *

არ შევიჭრებით ტელევიზიაში და სამაგალითოდ არ დავსჯით ჟურნალისტებს მათი სიუჟეტების გამო, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„და მაინც, ხშირად ისმის კრიტიკა, მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ ამ კრიტიკის გამო, თუნდაც სრულიად უსაფუძვლო კრიტიკის გამო, დავიჭიროთ ადამიანები, მათი ოჯახის წევრები, დავაშინოთ მათი შვილები და მშობლები“.

მისივე თქმით, თავისუფალი საზოგადოების შექმნას ხელს უწყობენ.

„ჩვენ აღარასდროს დავუშვებთ შეშინებულ და დასტრესილ საზოგადებას, რადგან ჩვენ თავისუფალი საზოგადების შექმნას ვუწყობთ ხელს. ჩვენ ადამიანების თავისუფლებას და ღირსებას ვცემთ პატივს! ჩვენ მათთვის ვმუშაობთ და მათ წინაშე ვგრძნობთ პასუხისმგებლობას!“ – აღნიშნა ღარიბაშვილმა.

* * *

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ხელი მოეწერა ისტორიულ დოკუმენტს – ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, რამაც ჩვენი ქვეყანა განვითარების სრულიად ახალ ეტაპზე გადაიყვანა.

„დღეს საქართველოს ეძლევა ისტორიული შანსი, რომ დაუბრუნდეს თავის ბუნებრივ გარემოს – ევროპას, მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სივრცეს.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, ყველა სახელმწიფო უწყება დღეს უკვე სწორედ იმ გეგმით მუშაობს, რომ შეუქცევადი გახდეს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი.

მისივე განცხადებით, წარმატებით ხორციელდება ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები.

როგორც მან აღნიშნა, ხელისუფლებამ ძალიან დიდ შედეგებს მიაღწია, მიუხედავად იმისა, რომ უმნიშვნელოვანესი პრობლემები და ურთულესი მემკვიდრეობა დახვდათ.

„საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილი ნასამართლევია, ოჯახები კი – რეპრესირებული; წამება, არაადამიანური მოპყრობა, მკვლელობები, სასამართლოს, მედიისა და ბიზნესის ტერორი, არჩევნების შედეგების გაყალბება, კერძო საკუთრების უგულებელყოფა – დადგენილ წესად იყო ქცეული. მოჩვენებითი აღმშენებლობის სურათის პარალელურად, დაგვხვდა წლების განმავლობაში უცვლელი და დაბალი დასაქმების მაჩვენებელი.

დაკარგული ტერიტორიები, უკიდურესად დაძაბული ურთიერთობა მეზობლებთან და დაუცველი ტერიტორიები.

ამ მემკვიდრეობის ფონზე წარმოდგენილი შედეგების მიღწევა, დამეთანხმებით, დიდი წარმატებაა“, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

* * *

ჩვენმა მთავრობამ მხოლოდ ორ წელიწადში, ჩქაროსნული ავტომაგისტრალის 40 კილომეტრი უკვე დააგო და წლის ბოლომდე ამ გზის კიდევ 18 კილომეტრი დაიგება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სასტუმრო „რედისონში“ განაცხადა, სადაც საზოგადოებას ორწლიანი ანგარიში წარუდგინა.

მისი თქმით, 2 წლის განმავლობაში საქართველოში არ შეჩერებულა არც ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს, პირველ რიგში, ადამიანებისთვის ცხოვრების გაადვილებას და არა აღმშენებლობის ყალბი სურათის შექმნას.

„სააკაშვილი ერთ გზას ხსნიდა ორი ხედით, ჯერ დააყენებდა აქეთ მხარეს გადაიღებდნენ და შემდეგ მეორე მხარეს. ეს იყო რეალობა და ხალხს ატყუებდნენ, რომ ისინი ხსნიდნენ კილომეტრებს, ჩვენ ყოველთვის სიმართლეს გეუბნებით, მინდა ამის გჯეროდეთ და ამ სიმართლის გადამოწმება ძალიან მარტივია – ყველაფერი არის გამჭვირვალე და თქვენ თავად განსაჯეთ, რა არის მართალი და რა ტყუილი“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

გზად მომავლისკენ!

მისივე თქმით, გზებიც შენდება და ხიდებიც.

მისი თქმით, რეგიონებში ხორციელდება ძალიან ბევრი პროექტი.

„ავაშენეთ 16 ახალი ხიდი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 554 კილომეტრ გზას და 87 ხიდს. ჩვენი მიზანია საბოლოოდ გზებისა და ხიდების პრობლემა არც ერთ სოფელში არ დარჩეს. 21-ე საუკუნეში, წინა ხელისუფლების მიერ ლამის „სინათლის ქვეყნად“ გამოცხადებულ საქართველოში, ჯერ კიდევ იყო სოფლები, სადაც არასოდეს ანთებულა სინათლე და ხალხი სანთლის შუქზე ცხოვრობდა. ჩვენ დავიწყეთ უშუქო სოფლების ელექტრიფიცირება და უკვე გავანათეთ 8 სოფელი. ამჟამად კიდევ 20 სოფლის განათების სამუშაოები მიმდინარეობს“, — განაცხავა პრემიერ-მინისტმა.

მისი თქმით, 117 ათასზე მეტ აბონენტს მიეწოდება ბუნებრივი აირი.

„ჩვენ მაქსიმალურად, რაციონალურად უნდა ავითვისოთ ყველა რესურსი, რათა ენერგოსექტორი განვავითაროთ. უკვე ამუშავდა 7 ახალი ჰიდროელექტროსადგური. მხოლოდ ენერგეტიკაში 347 მილიონი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა. მე ვიცი, რომ საზოგადოებას აღელვებს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საკითხი და ამიტომ მინდა, ხაზგასმით ვთქვა, რომ ჩვენ არ ვიღებთ არც ერთ გადაწყვეტილებას ისე, თუ არა გვაქვს კვალიფიციური ექსპერტული დასკვნა და მხოლოდ ამის შემდეგ ვიწყებთ პროექტების განხორციელებას. ამიტომ მინდა, ვუთხრა ჩვენს მოქალაქეებს, რომ ყველა რისკი, რომელიც ახლავს დიდი პროექტების მშენებლობას, მინიმუმამდე იქნება დაყვანილი“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, ჰიდროელექტროსადგურების გარდა, საქართველოს მთავრობა მუშაობს ალტერნატიულ წყაროებზეც.

* * *

პოლიცია აღარ არის პოლიტიზებული და ეს ჩვენი ხელისუფლების ძალიან დიდი დამსახურებაა, დღეს ვერავინ იტყვის, რომ ქვეყანაში პოლიცია ვინმეს პოლიტიკური ნიშნით დევნის ან რომელიმე პოლიტიკური ძალის სამსახურშია.

„დღეს ჩვენი პოლიცია ერთგულად ემსახურება ჩვენს ხალხს და სახელმწიფო ინტერესებს, იცავს წესრიგს და თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებას, და ხშირად ეს საკუთარი სიცოცხლის ფასად ხდება“, — განაცხადა პრემიერმა.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, გაუქმდა სადამსჯელო ორგანიზაციები — სოდი და კუდი, სადაც კრიმინალები მუშაობდნენ.

პრემიერის ინფორმაციით, 2 წლის განმავლობაში აშენდა და რეკონსტრუქცია ჩაუტარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს 100-ზე მეტ ობიექტს; 2013 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს მრავალშვილიანი თანამშრომლები ყოველთვიურ 200-დან 500 ლარამდე დახმარებას იღებენ; ასევე, ფინანსდება თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრთა მკურნალობის ხარჯები.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, 2014 წლის 5 თვის განმავლობაში სამინისტროს თანამშრომელთა მკურნალობაზე 1 მილიონ 75 ათასი ლარი დაიხარჯა.

„განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საზღვრის დაცვას. საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთზე აშენებულია 3 ახალი სასაზღვრო სექტორი; საქართველო-აზერბაიჯანის მონაკვეთზე — 2 სასაზღვრო სექტორი; საქართველო-სომხეთის მონაკვეთზე — 4 სასაზღვრო სექტორი; საქართველო-თურქეთის მონაკვეთზე აშენებულია 1 სასაზღვრო სექტორი.

2014 წლის ბოლოსთვის კიდევ 3 ახალი სასაზღვრო სექტორი გაიხსნება.

2014 წლის თებერვლიდან მესაზღვრეებს ხელფასები მნიშვნელოვნად გაეზარდათ.

საერთაშორისო კვლევების მიხედვით, წინა წლებთან შედარებით, საქართველოს პოზიცია ორგანიზებულ დანაშულთან ბრძოლაში 48 საფეხურით გაუმჯობესდა“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

* * *

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის აზრით, ბევრ მიღწევას ტელევიზიაში არ აჩვენებენ, ვინაიდან არ უხარიათ. ამის შესახებ ღარიბაშვილმა სასტუმრო „რედისონში“ განაცხადა, სადაც საზოგადოებას 2-წლიანი საქმიანობის ანგარიში წარუდგინა.

„გვქონდა ურთულესი ერთი წელი — კოჰაბიტაცია, შემდეგ ერთი წლის წინ გავისტუმრეთ საკაშვილი, ავირჩიეთ ახალი პრეზიდენტი, სულ რაღაც რამდენიმე თვის წინ ჩავატარეთ ადილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და ამით დავასრულეთ მთლიანი ციკლი ხელისუფლების გადაბარის. ჩვენ დავიწყეთ რეალური ცვლილებები და ის უდიდესი ძალისხმევა, რომელსაც ჩვენ ამ საქმეში ვდებთ, აუცილებლად მოგვიტანს შედეგს და ფეხზე დააყენებს ჩვენს ქვეყანას. ამ ორ წელიწადში აბსოლუტურად ყველა სფეროში მივაღწიეთ წინსვლას. მე მესმის, რომ ბევრი რამ არ ჩანს. ბევრ რამეს არ აჩვენებენ ტელევიზიაში, არ უხარიათ და იმიტომ, მაგრამ ხალხმა ეს იცის, გრძნობს ამ ცვლილებებს საკუთარ თავზე“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

* * *

„**საქართველოში** ყველა რეგიონს აქვს იმის რესურსი, რომ საკუთარი მეურნეობით ფეხზე დადგეს სოფლები. მეტიც, თითოეულ რეგიონში არსებობს იმაზე მეტი რესურსი, ვიდრე ადგილობრივ ბაზარს სჭირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს შეუძლია თავისი პროდუქცია ექსპორტზე გაიტანოს. და ჩვენი მთავრობის პოლიტიკაც სწორედ ეს არის — იმპორტის მაქსიმალურად ჩანაცვლება ადგილობრივი, მაღალი ხარისხის პროდუქციით და ექსპორტის განვითარება. მთავრობის თანმიმდევრული, გათვლილი ნაბიჯებისა და რეალური პოლიტიკის წარმოების შედეგად, ჩვენს გლეხებს პროდუქცია უკვე გააქვთ რუსეთის ბაზარზე, რაც მათთვის დიდი შეღავათია. თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენ გაცილებით დიდი გეგმები და პერსპექტივები გვაქვს — საქართველოსთვის გაიხსნა ევროკავშირის 500-მილიონიანი ბაზარი და ეს ბაზარი უნდა ავითვისოთ, რაც შეიძლება სწრაფად“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერმა სოფლის მეურნეობის სფეროში განხორციელებულ რეფორმებზეც ისაუბრა.

„მოდით, შევადაროთ და თავად დავრწმუნდეთ, რამხელა განსხვავებაა წინა წლებთან შედარებით, რამხელა განსხვავებაა ქართული სოფლისა და გლეხის მიმართ ჩვენს დამოკიდებულებასა და წინა ხელისუფლების მიდგომებს შორის. მაშინ, როცა 2009-2011 წლებში, მთელი სამი წლის განმავლობაში გადამუშავდა მხოლოდ 88 ათას 700 ტონა ყურძენი, ჩვენი ხელისუფლების პირობებში, ბოლო 2 წლის განმავლობაში, სახელმწიფო სუბსიდიის დახმარებით, გლეხებისგან შესყიდულია 200 ათასი ტონა ყურძენი. წლების განმავლობაში ყურძნის ფასი 50-დან 90 თეთრამდე მერყეობდა, 90 თეთრი იყო მაქსიმუმი, რასაც გლეხი იღებდა. შარშან და წელს კი ყურძნის ფასი საგრძნობლად გაიზარდა და მინიმუმ ლარი ღირდა. თუმცა, რქაწითელის ფასმა ლარნახევარს, საფერავის კი — 3 ლარსა და 40 თეთრსაც კი მიაღწია“, — აღნიშნა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, ხალხმა თავისი შრომის შედეგად 270 მილიონი ლარი აიღო.

„სოფელში გაჩნდა იმედი, ოჯახებს გაუჩნდათ შემოსავალი. მე ვფიქრობ, ყველაზე სწორედ ამ იმედის გაჩენაა ჩვენი ყველაზე დიდი წარმატება“, — აღნიშნა ღარიბაშვილმა.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განათლების სფეროში მიღწეულ შედეგებზე ისაუბრა.

„ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ოჯახებს მაქსიმალურად შევუმსუბუქოთ მდგომარეობა. მათთვის სასკოლო ხარჯები იყო ძალიან სერიოზული პრობლემა, განსაკუთრებით მძიმედ აწვებოდა ეს ტვირთი იმ ოჯახებს, რომლებსაც რამდენიმე შვილი ჰყავთ. მეორე წელია, რაც სკოლის მოსწავლეები უფასოდ იღებენ სახელმძღვანელოების კომპლექტს და ამან 60 პროცენტამდე შეამცირა ოჯახის წლიური დანახარჯი საშუალო განათლებაზე — მოსწავლეების მშობლები ყოველწლიურად 75 მილიონ ლარს ზოგავენ. ამ დარბაზში პედაგოგებიც ბრძანდებით და მოსწავლეთა მშობლებიც, და დამეთანხმებით, რამხელა მხარდაჭერაა ეს. გარდა ამისა, 1065 სკოლის 53 ათასამდე მოსწავლეს ემსახურება უფასო სასკოლო ტრანსპორტი. რეგიონებში, იმ ადგილებში, სადაც ბავშვებისთვის სკოლაში მისვლა დიდ პრობლემებთან იყო დაკავშირებული, დანიშნულია სპეციალური ავტობუსები. ჩვენ ვაშენებთ და ვარემონტებთ სკოლებს. საქართველოს მასშტაბით უკვე ავაშენეთ 9 ახალი სკოლა და კიდევ ვაშენებთ 8 სკოლას. 1000 სკოლას ჩაუტარდა რეაბილიტაცია“, — აღნიშნა პრემიერმა.

მისი თქმით, კიდევ ერთი სიახლეა განათლების სისტემაში — სახელმწიფო სრულად აფინანსებს 21 საბაკალავრო პროგრამას. მისივე თქმით, სახელმწიფო აგრეთვე მთლიანად აფინანსებს 12 ათასამდე სტუდენტს, რომლებიც საჯარო კოლეჯებში იღებენ პროფესიულ განათლებას.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ბიუჯეტი 1 მილიარდამდე ლარით გაიზარდა.

„დიახ, ჩვენ ჩავდეთ ეს თანხა ბიუჯეტში იმიტომ, რომ პრიორიტეტები შევცვალეთ. როცა პრიორიტეტი არის ადამიანი და მისი ჯანმრთელობა, აუცილებლად იპოვი გამოსავალს.

ჩვენ ვახორციელებთ ჯანდაცვის ისეთ პროექტს, რომლის მსგავსიც საქართველოში აქამდე არ განხორციელებულა. დღეს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობს 2 მილიონ 781 ათასი ადამიანი. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების თითქმის ნახევრისთვის ჯანდაცვა არ იყო ხელმისაწვდომი. დღეს კი საქართველოს ყველა მოქალაქე დაზღვეულია.

ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ადამიანს, რომელსაც ოპერაცია სჭირდება, მას ეს ოპერაცია უტარდება დროულად და ამაში ფულს იხდის სახელმწიფო.

ჩვენი მოქალაქეები სულ უფრო რწმუნდებიან, რომ მათ უკან სახელმწიფო დგას.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „ქართული ოცნების“ მმართველობის ორი წლის განმავლობაში ეკონომიკის სფეროში მიმდინარე პროცესებიც შეაფასა.

„ჩვენი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი ამ ეტაპზე 6%-ია. მსოფლიო ბანკის წლევანდელი ანგარიშით, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის მიხედვით, რეგიონში ჩვენი ქვეყანა არის პირველ ადგილზე, ხოლო მსოფლიო ბანკის წევრ ქვეყნებს შორის — მეორე ადგილზე. რამდენიმე ავტორიტეტული საერთაშორისო რეიტინგის — „Fitch“, „Moody's“ — მიხედვით, საქართველოს პოზიციები სტაბილურიდან პოზიტიურამდე გაუმჯობესდა, ხოლო „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში“ 19 საფეხურით დავწინაურდით. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა გახდა უფრო ძლიერი და ეფექტური, საფინანსო ინსტიტუტები კი — უფრო სანდო და წარმატებული. განსაკუთრებული წინსვლა გვაქვს ექსპორტის კუთხით. ამ ორი წლის განმავლობაში საქართველოდან ექსპორტი გაიზარდა 24%-ით, მათ შორის, 2012 წელთან შედარებით, ექსპორტი ევროკავშირთან 70%-ით, ხოლო რუსეთთან — 534%-ით. 2 წლის განმავლობაში, ბოსტნეულის ექსპორტი გაზრდილია 53%-ით, ხილის — 91%-ით, მინერალური წყლების — 159%-ით, ღვინის — 221%-ით; ხოლო ციტრუსის — 1040%-ით“, — განაცხადა ღარიბაშვილმა და დასძინა, რომ ეს ნამდვილად შთამბეჭდავი ციფრებია, თუმცა, ჯერ კიდევ ძალიან ბევრი სამუშაოა იმისთვის, რომ ეკონომიკა განვითარდეს და ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნას.

მისივე თქმით, უპირველესი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც ხელისუფლებამ მიიღო, არის ბიზნესის გათავისუფლება ხელისუფლების ზეწოლისაგან.

„ხელისუფლებაში ჩვენს მოსვლამდე სწორედ პოლიტიკური წნეხი იყო ის ძირითადი მიზეზი, რამაც შექმნა ამდენი პრობლემა ეკონომიკაში. დღეს სახელმწიფომ შექმნა ისეთი გარემო, სადაც კერძო სექტორს შეუძლია სწორად და გრძელვადიანად განვითარდეს. ამ 2 წლის განმავლობაში უკვე დარეგისტრირდა და გააქტიურდა 46 000 ბიზნესსუბიექტი. ასეთი მიდგომით, შემდგომ ორ წელიწადში ინტენსიურად უნდა შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები. ორი წლის განმავლობაში 3 მილიონ ლარზე მეტი ბრუნვის მქონე გადამხდელების, ანუ მსხვილი გადამხდელების რაოდენობა 418-ით, ხოლო მათი ერთობლივი შემოსავალი — 4 მილიარდ ნახევარი ლარით გაიზარდა. ეს მაჩვენებელი განპირობებულია ეკონომიკის გაჯანსაღებით, თავისუფალი და კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებით, ახალი კომპანიების შექმნით და ბიზნესების გამსხვილებით, ანუ კერძო სექტორში მეტი შემოსავლის მობილიზებით“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, ამ ცვლილებების ლოგიკური გაგრძელებაა, რომ 2015 წელს თბილისში ტარდება EBRD-ის წლიური შეხვედრა; ასევე, მისი ინიციატივით ფუძნდება „აბრეშუმის გზის საერთაშორისო ფორუმი“.

„ჩვენი ბიუჯეტი გაიზარდა 1 მილიარდი ლარით და გახდა სოციალურად ორიენტირებული. ჩვენ გადავწყვიტეთ, ძალიან დიდი ძალისხმევა ჩავდოთ წარმოების განვითარებაში, რადგან სწორედ წარმოების განვითარებაა ეკონომიკის აღმავლობის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის გარანტია. სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის სტიმულირებისა და ხელშეწყობის ასეთი მასშტაბი, რომელსაც ჩვენ ახლა ვახორციელებთ, ბევრ ქვეყანას არა აქვს“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

* * *

„ამ ორ წელიწადში აბსოლუტურად ყველა სფეროში მივაღწიეთ მნიშვნელოვან წინსვლას, და ამ სიტყვების უტყუარობას არა მარტო ციფრები, არამედ ჩვენი საქმიანობის კონკრეტული შედეგებიც მოწმობს. დაწყებული ჯანდაცვითა და განათლებით, მეწარმეობის და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობით, დამთავრებული კანონის უზენაესობის დამკვიდრებით, — ყველა სფეროში გვაქვს მნიშვნელოვანი შედეგები. როგორც წესი, ყველა რეფორმის შედეგი სწრაფად არ ხდება ხელშესახები საზოგადოებისთვის. მოკლევადიანი, ეფექტზე გათვლილი ცვილებების ბოლოს მხოლოდ ჩიხია. ჩვენ კი ყველა სფერო რეალური განვითარების გზაზე დავაყენეთ. და მაინც, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი არის დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება. პირველ რიგში, ეს არის თავისუფალი მედია და თავისუფალი სასამართლო, რომლის გარეშეც, უბრალოდ, არ არსებობს თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„**დღეს** შესრულდა ზუსტად ორი წელი, რაც ჩვენი მთავრობა შეუდგა თავისი უფლებამოსილების განხორციელებას. ამიტომ მინდა, საზოგადოებას ერთგვარი ანგარიში ჩაგაბაროთ და ჩვენი ორი წლის მუშაობის შედეგები გაგაცნოთ. ამ დარბაზში გხედავთ ყველასათვის პატივსაცემ ხალხს — ექიმებს, მასწავლებლებს, მეწარმეებს, ჟურნალისტებს, ჯარისკაცებსა და პოლიციელებს, სპორტსმენებს, ახალგაზრდებს — დოქტორანტებს, ჩვენს ძმებს — აფხაზებსა და ოსებს. ჩვენ პოლიტიკური ცხოვრება სრულიად სხვა — ნამდვილად დემოკრატიულ კალაპოტში გადავიყვანეთ. ორი წელია, ჩვენ ვახორციელებთ პოლიტიკას, რომელიც ემსახურება ხალხს, პირველ რიგში — ადამიანს, სწორედ ადამიანია ჩვენთვის მთავარი ღირებულება“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მისი თქმით, ორი წლის წინათ, ყველამ ერთად შევცვალეთ ჩვენი ცხოვრება.

◎ ბრიფინგი

აქციების დაანონსება ნაციონალების მხრიდან უზნეობაა

„ორი წლის წინათ ამ დროს ნაციონალური მოძრაობა პრაქტიკულად არ არსებობდა, ხოლო მისი ლიდერები ქვეყნიდან გაქცეულები იყვნენ“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ საგანგებო ბრიფინგზე და ნაციონალების გაცოცხლებაში „ქართული ოცნება“ დააადანაშაულა. **„იმ ადგილას, სადაც ადამიანებს ხოცავდნენ და სისხლს ღვრიდნენ, როგორ ბედავენ ნაციონალები აქციის დაანონსებას,** — იკითხავს ბურჯანაძე, **მით უფრო მაშინ, როცა საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი დაკარგულია, რუსის ჯარი შემოიყვანეს და შემდეგ მოსახლეობას მოუწოდებდნენ, დანა-ჩანგლით შეებრძოლეთ ტანკებსო. დღეს კი ეს ადამიანები უსირცხვილოდ აცხადებენ, რომ ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად იბრძვიან“.**

ნინო ბურჯანაძე, შეიძლება ითქვას, რომ პრემიერ ღარიბაშვილის გუშინდელმა გამოსვლამ ლამის წყობილებიდან გამოიყვანა: **„ქართული ოცნების ერთადერთი მიღწევა ისაა, რომ მასობრივად არ გვატერორებენ და არ გვაქვს პოლიტიკური ნიშნით დევნის შიში. თუმცა, სამწუხაროდ, ორი წლის განმავლობაში ახორციელებდა გაუბედავ პოლიტიკას, ხოლო ნაციონალებთან კოჰაბიტაციამ ეს უკანასკნელი კვლავ გააცოცხლა. აქციების დაანონსება ნაციონალების მხრიდან უზნეობაა!!!“** — აღნიშნა ბურჯანაძემ.

დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი აფხაზებისთვის ავტონომიის შეთავაზების პროცესსაც ეხმიანება და აცხადებს, — **ეს შეთავაზება იმის მანიშნებელია, რომ მთავრობას საგარეო თუ საშინაო მიმართულებით სტრატეგიული ხედვა საერთოდ არა აქვს და რეალობას მოწყვეტილია. დღეს ღარიბაშვილი გვესაუბრა 20 წლის წინანდელი ტერმინებით, რომელიც კატეგორიულად მიუღებელია აფხაზური მხარისთვის. გაერთიანება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხერხდება, თუკი ჩატეხილი ხიდი აღდგება და პირისპირ დიალოგი დაიწყება. სიურპრიზი ჩემთვის ის იქნებოდა, თუ პრემიერი გამოვიდოდა და მზადყოფნას გამოთქვამდა ოსეთსა და აფხაზეთში ჩასასვლელად“,** — დასძენს ბურჯანაძე.

პოლიტიკოსი ამბობს, რომ ხელისუფლებას ქვეყნის გამთლიანების რესურსი არ აქვს, ხოლო გაერთიანების გარეშე არანაირი ხელშეკრულებები დასავლეთთან წარმატების გარანტი არ იქნება. **„ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მხოლოდ ჩემი და ჩემი თანაგუნდელების ამოცანაა საქართველოს გაერთიანება. ჩვენ შევძლებთ ამის მიღწევას, მე ეს რეცეპტი ვიცი“, — ირწუნება ბურჯანაძე, თუმცა, ჯერჯერობით, არ ამხელს იმ „პატარა საიდუმლოს, რომლითაც ჯადოქრობა უნდა შესძლოს“...**

ნია ფიფია

აფხაზებს უნდათ, რუსეთი უპირობო პარტნიორი იყოს,

თავად კი არანაირი ვალდებულება არ ჰქონდეთ!

ПОЛИТОЛОГИ ალექსანდრე რუსეცკიმ ასეთი განცხადება გააკეთა ცოტა ხნით ადრე, ვიდრე რუსეთი აფხაზეთს „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის ხელშეკრულებას“ შესთავაზებდა: „თუ როგორ შეიცვლება სიტუაცია, უპირველესად, ძალთა ბალანსის გეოპოლიტიკურ ცვლილებაზეა დამოკიდებული. ვაშინგტონ-მოსკოვი გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებიან“. რა როლი ენიჭება ასეთ მომენტში საქართველოს, მართლა დიდი მოთამაშეები გაანაგებენ თუ არა მსოფლიო წესრიგს, რა ბედი ელის აფხაზებსა და ამავდროულად ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას? – ამ კითხვებს პოლიტიკოსი ᲐᲓᲐ ᲛᲐᲠᲨᲐᲜᲘᲐ უპასუხებს:

– ბატონ რუსეცკის აზრით, ჩვენ ნულოვანი როლი გვენიჭება, რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმებით. სხვათა შორის, მეც მთელი ეს წლები მაინტერესებდა, საქართველო სად ხედავს თავის თავს, საერთოდ, რას აკეთებს ეს მებრძოლი სულის ხალხი სამშობლოსთვის? სამწუხაროდ, მოვლენები ტრაგიკულად განვითარდა და ქართველი ხალხი (ყოველ შემთხვევაში, მისი მებრძოლი ნაწილი) პასიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეს ტენდენცია გრძელდება დღესაც. საზოგადოება კვლავ გააზრების, ფიქრისა და ჩამოყალიბების პროცესშია....

– მაშინ გამოდის, რომ რუსეცკის ვარაუდი მართალია.

– ნაწილობრივ... ცხადია, ვაშინგტონ-მოსკოვის შეთანხმებას ჩვენს ცხოვრებაზე უდიდესი გავლენა აქვს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, ჩვენს თავზე არ ავიღოთ ქვეყანაზე, მის დაკარგულ ტერიტორიებზე ზრუნვა.

– მოსკოვსა და აფხაზეთს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებაც ჩვენი ინერტულობის ბრალი ხომ არ არის?

– მხოლოდ ინერტულობის არა, ამას კომპლექსური პრობლემები განაპირობებდა, მაგრამ მაინც უმთავრესს გამოვყოფდი – ჩვენ 21 წელია, რაც ტერიტორიული პრობლემები შეგვექმნა და აქამდე ვერ ჩამოვყალიბდით ჩვენს საგარეო პოლიტიკაზე. ვერც მოსკოვთან გავარკვიეთ ურთიერთობა და ვერც ვაშინგტონთან. მართალი გითხრათ, დღეს ვერ გავიგე, რისთვის გვჭირდება ნატო – ხომ არ შეიცვალა ჩვენი მიზანი, როცა ვამბობდით, ნატო გვჭირდება ტერიტორიების დასაბრუნებლადო?!

– თქვენ, ალბათ, გულისხმობთ პრეზიდენტის განცხადებას, რომელიც მან იაპონიაში გაახმიანა; თქვა რომ, ჩვენ ნატო ტერიტორიების დასაბრუნებლად არ გვჭირდებაო.

– ჩემი პოზიცია აბსოლუტურად განსხვავებულია. ნატოსთან ინტეგრაცია მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული, თუკი ეს ტერიტორიების დაბრუნებას მოემსახურება. მით უმეტეს, როცა აფხაზები ერთმნიშვნელოვნად აცხადებენ, რომ მათი სტრატეგიული პარტნიორი მხოლოდ რუსეთია...

– მაგრამ ხელშეკრულების დოკუმენტის შემდეგ, რომელიც თითქოს მოკავშირეობას გულისხმობს, თუმცა, აღმოჩნდა, რომ მასში გაწერილი ნორმების მიხედვით აფხაზეთი, ფაქტობრივად, დამოუკიდებლობას კარგავს, მაინც დარჩება რუსეთი სანდო პარტნიორად. როგორ აფასებენ ამას აფხაზები, თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ იმის გარდა, რაც საჯაროდ ითქვა?

– როგორც კი ჩვენ აქ გავაქტიურდებით და ნატოსკენ ნაბიჯებს გადავდგამთ, ამის პარალელურად რუსეთი აფხაზეთში იწყებს მოქმედებებს. მინდა, ისიც აღვნიშნო, რომ არამხოლოდ რუსები, არამედ აფხაზებიც და ოსებიც აქტიურობენ ამ მიმართულებით. ყველა კანდიდატი სწორედ რუსეთთან ინტეგრაციისკენ ისწრაფვოდა (ვგულისხმობ აფხაზეთში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს) და აფხაზებისთვის მათი პროგრამა მისაღები იყო. ამიტომ, რაღაც ამდაგვარი დოკუმენტი რომ მზადდებოდა, ეს იმთავითვე ყველასთვის ცხადი იყო. ხელშეკრულების პროექტი სულაც არ იყო სიახლე აფხაზური საზოგადოებისთვის. მაგრამ აქ არის ერთი საინტერესო პასაჟი: აფხაზებს უნდათ, რუსეთი იყოს უპირობო პარტნიორი, მოკავშირე, ხოლო თავად აფხაზებს არანაირი ვალდებულებები არ ჰქონდეთ. რუსეთი რაღაც პერიოდის განმავლობაში ამაზე თვალს ხუჭავდა, მაგრამ მუდმივად ასე რომ არ გაგრძელებდა, ყველასთვის გასაგები უნდა ყოფილიყო. ამიტომ რუსებიც აღიარებენ, რომ როცა მსგავსი სახის დოკუმენტი ფორმდება, მეორე მხარემ სუვერენიტეტის ნაწილი უნდა დათმოს. აფხაზებს სურთ, ტოტალურად და აბსოლუტურად იყოს მათი დამოუკიდებლობა დაცული. ეს არ ეხება მხოლოდ სამხედრო თემას. აქ მნიშვნელოვანია საბაჟო ტარიფები, მიწების გასხვისება და ა. შ.

ჯერჯერობით, ხელმოწერა გადაიდო (თითქოს წლის ბოლომდე უნდა გაფორმებულიყო ხელშეკრულება), ვნახოთ, რა შესწორდება, რა შეიცვლება. ხაჯიმბა არ არის შემთხვევით არჩეული პრეზიდენტი, თავად ის ამისთვის მზად იყო, მაგრამ აფხაზურმა საზოგადოებამ წინასწარ გააფრთხილა: თუ რაიმე ფორმით შეზღუდავ ჩვენს სუვერენიტეტს, პრეზიდენტის სკამს დაემშვიდობეო. დაველოდოთ, როგორ იომებს იქაური საზოგადოება.

– აფხაზეთის პოზიცია გასაგებია, მაგრამ რუსეთი თუ დასთანხმდება იმ შეცვლილ ვარიანტს, რასაც შესთავაზებენ?

– გააჩნია, რას შესთავაზებენ.

– ნებისმიერ შემთხვევაში, როგორი იქნება საქართველოს მომავალი?

– რაც შეეხება საფრთხეს... რუსეთს შეუძლია, საქართველოს შეუქმნას საფრთხე სხვა ბერკეტებიდანაც. აფხაზეთში ახლაც არის სამხედრო ბაზა და ამას სპეციალური ხელშეკრულება სულაც არ სჭირდება. უბრალოდ, ამ დოკუმენტის მიღების შემდეგ აფხაზების რუსეთთან ინტეგრირება უფრო ადვილად მოხდება. პრიმიტიულად თუ ვიტყვით, აფხაზეთი გარუსდება. აფხაზები ამას აცნობიერებენ და ვნახოთ, რას იზამენ.

– პრემიერ ღარიბაშვილის ნათქვამი: აფხაზები თვითგამორკვევისთვის იბრძოდნენო, თქვენ როგორ აღიქვით. იყო ეს, იურიდიული ტერმინოლოგიის უცოდინრობა, თუ შეგნებულად განაცხადა აფხაზების გულის მოსაგებად?

– მართალი გითხრათ, არ ვიცი. ვერ გიპასუხებთ, ეს რა განზრახვით თქვა; რა იგულისხმა, მე ბოლომდე ვერ გავაცნობიერე. იცით, წლები გადის, აფხაზებს ჭიდილი აქვთ საკუთარ თავთან: რა მოიტანა ამ ბრძოლამ, შედეგი რა არის?

– პრემიერმა ასევე განაცხადა, რომ გეგმა აქვთ შემუშავებული მთავრობაში, რომელიც შეიძლება აფხაზ საზოგადოებას შესთავაზონ. ხომ არ იცით რაიმე ამის შესახებ და როგორ ფიქრობთ, რა ფორმით შეიძლება აფხაზების ქართველებისკენ შემობრუნება?

– გაგიკვირდებათ, მაგრამ არ ვიცი, რა გეგმა აქვს პრემიერს, ან მინისტრ ზაქარეიშვილს. მათ არ უნდათ ჩვენთან ურთიერთობა, იმ ხალხთან, ვისაც მეტ-ნაკლებად შეხება აქვს ამ პრობლემასთან. რაღაც-რაღაცები კი ვიცი, თუმცა, თუკი გულახდილად გეტყვით, არც არაფერი გეგმა არა აქვთ!

– სახალხო დიპლომატია რამდენად ეფექტიანი რესურსია, რომელზეც თითქმის ყველა ხელისუფლება ყოველთვის აპელირებდა და დღესაც აპელირებს?

– სახალხო დიპლომატია არის მხოლოდ ერთ-ერთი სეგმენტი, მაგრამ საბოლოო შედეგის მიღებას უფრო კომპლექსური მიდგომა სჭირდება. სამწუხაროდ, სახალხო დიპლომატია არც არასოდეს გამოყენებულა, არადა, ამის პოტენციალი ჩვენ გვქონდა და ამის საშუალებაც იყო. თავიდან თითქოს იყო ძვრები, თუმცა, საკაშვილის დროს ეს სეგმენტი საერთოდ მოკვდა. „გვახსოვდეს აფხაზეთი“ ლოზუნგად, ხოლო აფხაზეთზე საუბარი – მხოლოდ რიტორიკად იქცა.

– ამ ფონზე, უნდა გაგრძელდეს თუ არა ჟენევის მოლაპარაკებები, აბაშიძე-კარასინის შეხვედრა...

– ყველა შეხვედრა უნდა შედგეს, ურთიერთობის ყველა ფორმა და ხერხი უნდა გამოვიყენოთ. ეს მინდა, მკაფიოდ განვაცხადო... მაგრამ... გააჩნია, როგორი დელეგაცია მიდის აქედან. ადამიანებს, რომელთაც უწევთ მეორე მხარესთან კომუნიკაცია, მოლაპარაკების წარმოება, დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ. მე რამდენჯერმე ვიყავი შვეიცარიაში და ვიცი, იქაური სამზარეულო, რა მუშაობა მიმდინარეობს. მამაჩემიც რამდენჯერმე იყო იქ ჩასული და შემიძლია, გითხრათ, რომ მასსა და კარასინს შორის ძალიან თბილი, ადამიანური ურთიერთობები ჩამოყალიბდა.

– დღეს ვინ არიან დელეგაციაში და რა შედეგის მოტანა შეუძლიათ მათ?

– შედეგი რომ მივიღოთ, ამას მხოლოდ დელეგაციის წევრები ვერ უზრუნველყოფენ, მაგრამ ურთიერთობას დიდი მნიშვნელობა აქვს.

პირდაპირ გეტყვით, მაგალითად, რეინტეგრაციის მინისტრის მოადგილე ქეთევან ციხელაშვილი, არ არის ამ პრობლემაში ისე ჩახედული და გარკვეული, რომ მისი ჩასვლით ჟენევაში შედეგი დადგეს... ეს ხომ უნდა გააცნობიეროს მთავრობამ?!

ჩვენ წლებია, ვითხოვთ, რომ აფხაზურმა მხარემ თანხმობა განაცხადოს, რათა აღდგომას ლტოლვილებმა შეძლონ ახლობლების საფლავების მონახულება. ბატონ ვახტანგ ყოლბაია ესწრებოდა ბოლო შეხვედრებს და რაღაც ხელშესახები წარმატებები არის... თუნდაც ამ საკითხზე აქამდეც ხომ შეიძლებოდა შეთანხმება?!

– ახალი ხელისუფლება ლოიალურია რუსეთის აგრესიული პოლიტიკის მიმართ. თქვენთვის ეს მისაღებია?

– კარგია, რომ ლოიალურია, მაგრამ მხოლოდ ეს საკმარისი არ არის. მეტი მუშაობაა საჭირო, მეტი დიპლომატია...

– ვთქვათ, ჰიპოტეტურად დავუშვათ, რომ აფხაზებს, შესთავაზეს კონფედერაცია, ან რაღაც ამის მსგავსი. თქვენ რას ფიქრობთ ასეთ საკითხებზე?

– რა სტატუსიც არ უნდა შესთავაზონ ამ ეტაპზე აფხაზებს, მათ არაფრის გაგონება არ უნდათ. მათ უნდათ დამოუკიდებლობა და არა მარტო საქართველოსგან, რუსეთისგანაც. მართალია, ეს დამოუკიდებლობა ძალიან ფორმალურია, მაგრამ მაინც.

დღეს რომ ვფიქრობ, წლები დავკარგეთ და მათთან ურთიერთობის ბევრი შანსი გავუშვით, მაგრამ ამ წლებმა მეტი სიცხადით დაანახა აფხაზებსაც რეალობა. აი, ეს მომენტი ახლა შეიძლება, გამოვიყენოთ... მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენც არ ვიცით, რა გვინდა, რომ შევთავაზოთ აფხაზებს, მთავრობას არა აქვს კონკრეტული პოლიტიკა.

– მაშინ, სად არის საზოგადოება... აფხაზეთიდან ლტოლვილი საზოგადოება მაინც?.. ძალიან ბევრი პასუხისმგებლობა ხომ არ აჰკიდეთ ხელისუფლებას?

– უპირველესად, ეს არის ხელისუფლების საქმე, მაგრამ, თქვენც მართალი ხართ. საზოგადოების დამოკიდებულება ინდეფერენტული გახდა საქართველოს ერთიანობის მიმართ. ჩვენ ორი ტრაგედია დაგვემართა: პირველი, ტერიტორიები დავკარგეთ და მეორე – ტოლფასი ამისა – გულგრილები გავხდით დაკარგული ტერიტორიების მიმართ. აი, რას ვაკეთებთ, ვფაციფუცობთ, გვტკივა?! რას აკეთებს ჩვენი ხელისუფლება იმისთვის, რომ ცოტათი მაინც მიუახლოვდეს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების პროცესს? – არაფერს!?

– განსხვავებით რუსეთის ხელისუფლებისგან, რომელიც ყოველდღიურად სიახლეებს სთავაზობს აფხაზურ საზოგადოებას და ნაბიჯ-ნაბიჯ უხლოვდება მას.

– დიახ, სწორედ რომ ასეა...

ესაუბრა
ᲗᲔᲐ ᲛᲝᲡᲘᲐ

◎ ᲐᲚᲘᲐᲜᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

„ტფილისის ჰამქარი“ საბაგირო გზის წინააღმდეგ

„ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲰᲐᲛᲥᲐᲠᲘ“„ „ვარდების მოედანზე“ საბაგირო სადგურის ესკიზურ პროექტზე გამოცხადებული კონკურსის წინააღმდეგია.

„ტფილისის ჰამქარის„ ინფორმაციით, 2014 წლის 9 ოქტომბერს თბილისის არქიტექტურის სამსახურმა გამოაცხადა კონურსი (ბრძანება 3306) „ვარდების მოედანსა“ და მთაწმინდის პარკში საბაგირო სადგურების საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის თაობაზე.

„ტფილისის ჰამქარი“ მიესალმება თბილისის მერიის ბოლოდროინდელ ტენდენციას, როდესაც ქალაქისათვის მნიშვნელოვან ადგილებსა თუ ობიექტებზე ღია და საჯარო კონკურსები ცხადდება.

„თუმცა, მიგვაჩნია, რომ სასტუმრო „რედისონის“ წინა მოედანი შეუფერებელი ადგილია ხაზობრივი ნაგებობის განთავსებისათვის. მიუღებელია საბაგირო ხაზის ერთ-ერთი საყრდენი სვეტის დამონტაჟება გრიბოედოვის ქუჩაზეც.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ წინა პროექტი არქიტექტურის სამსახურში არსებული საბჭოს გვერდის ავლით შეთანხმდა. დღემდე არ არის წარმოდგენილი კვლევა, რომელიც საბაგიროს „ვარდების მოედანზე“ განხორციელების აუცილებლობას დაასაბუთებდა. პრობლემური გახდება მოედნის ქვეშ მდებარე მეტროპოლიტენის ტექნიკური ინფრასტრუქტურა, რომლის თავზეც იგეგმება აღნიშნული სადგურის აშენება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ რომ მთაწმინდის საბაგიროს აღდგენა მნიშვნელოვანი მოვლენაა ქალაქისათვის, თუმცა, ის უნდა აღდგეს მეცნიერებათა აკადემიის უკან მდგარი ძველი საბაგირო სადგურის რეკონსტრუქციის ხარჯზე. ჩვენთვის ცნობილია, რომ ძველი სადგური დღეს აღარ ეკუთვნის ქალაქს და კერძო საკუთრებაა, მაგრამ საზოგადოების მაღალი ინტერესის გათვალისწინებით შესაძლებელია ახლანდელ მეპატრონეს კონპენსაციის ან ადგილმონაცვლეობის გზით თბილისის მერიამ შესთავაზოს ალტერნატიული ვარიანტები, რათა ერთი მხრივ არ შეილახოს კერძო საკუთრების უფლება და მეორე მხრივ დაცული იყოს ქალაქისა და საზოგადოებრივი ინტერესი.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

◎ პიროვნება

უმაღლესი სკოლის დიდი ორგანიზატორი

აკადემიკოს არჩილ ძიძიგურის გახსენება



გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი არჩილ ამბროსის ძე ძიძიგური დაიბადა 1914 წლის 15 აგვისტოს ქ. ქუთაისში, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ოჯახში. საშუალო სკოლა დაამთავრა 1932 წელს ქ. თბილისში და ჩაირიცხა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტზე, რომელიც 1938 წელს დაასრულა. 1939-41 წლებში სწავლობდა დნეპროპეტროვსკის სამთო ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1945 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და 1946 წელს დოცენტის თანამდებობაზე აირჩიეს.

1952-57 წლებში განაგებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის სამთო განყოფილებას, რომლის ბაზაზეც მისი ინიციატივით 1957 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამთო საქმის (შემდგომ გ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტი, რომლის პირველი დირექტორიც თვითონ იყო 1973 წლამდე. 1958 წელს მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 1960 წ. მიენიჭა პროფესორის წოდება.

1961 წელს ა. ძიძიგური აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1969 წელს — ნამდვილ წევრად.

1964 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1968-70 წ.წ განაგებდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო მანქანების, მაღაროს სტაციონალური დანადგარებისა და ტრანსპორტის კათედრას.

1973 წელს აკადემიკოსი ა. ძიძიგური დაინიშნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორად. ამ მაღალ თანამდებობაზე იგი 1981 წლამდე მუშაობდა. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაფართოვდა და გაძლიერდა ინსტიტუტი, უმაღლესი საინჟინრო განათლებისა და ტექნიკური მეცნიერების ერთ-ერთ უძლიერეს ცენტრად იქცა.

აკადემიკოსი ა. ძიძიგური 1978—1988 წ.წ. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, 1988 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე — ამავე პრეზიდიუმის მრჩეველი. 1978 წ. მისი ინიციატივით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ჩამოყალიბდა საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისია, რომლის თავმჯდომარეც იყო გარდაცვალებამდე.

აკადემიკოსი ა. ძიძიგური სამთო საქმის, კერძოდ, სამთო მექანიკის, სტაციონარული მანქანებისა და ტრანსპორტის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მეცნიერი, სამთო მექანიკოსთა ეროვნული სკოლის ფუძემდებელი და მისი აღიარებული ხელმძღვანელი იყო. მისი სამეცნიერო მოღვაწეობის სფერო მოიცავდა სამთო საქმის თითქმის ყველა მიმართულებას. ა. ძიძიგურის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით შესრულდა ფუნდამენტური გამოკვლევები საშახტო სტაციონარული დანადგარების, საშახტო ჰიდროაერომექანიკისა და სავენტილაციო სისტემის, სამთო თბოფიზიკის, მილსადენი ტრანსპორტისა და მრავალფაზოვანი ნაკადების, საბურღი დანადგარების რეჟიმების აქტუალური პრობლემების გადასაწყვეტად.

დიდია აკადემიკოს ა. ძიძიგურის დამსახურება საქართველოს სამთამადნო მრეწველობის განვითარებაში. იგი მუდამ აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში არსებული ყველა მნიშვნელოვანი სამთო ობიექტის დაპროექტებასა და ათვისებაში, რისთვისაც თავის მოწაფეებთან ერთად 1973 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია, რომელიც მას ავტორთა კოლექტივთან ერთად განმეორებით მიენიჭა 1993 წელს, როგორც „შახტი-ლაბორატორიის“ მთავარ მეცნიერ-კონსულტანტს.

ა. ძიძიგურს უდიდესი დამსახურება მიუძღვის ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნასა და განვითარებაში, რისთვისაც მას სხვა გამოჩენილ მეცნიერებთან ერთად 1974 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია მიენიჭა. იგი დღიდან ჩამოყალიბებისა, იყო ქართული ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ა. ძიძიგური 300-ზე მეტი გამოქვეყნებული მეცნიერული შრომის ავტორია, მათ შორისაა 10 მონოგრაფია, 5 სახელმძღვანელო და 40-ზე მეტი გამოგონება. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა და დაცულია 40-ზე მეტი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია.

ა. ძიძიგური მრავალი საერთაშორისო კონგრესის, სიმპოზიუმისა და კონფერენციის ორგანიზატორი და მონაწილე იყო. მისი მოხსენებები სამთო მეცნიერების აქტუალურ პრობლემებზე ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა. მის მაღალ მეცნიერულ ავტორიტეტზე ისიც მეტყველებს, რომ ა. ძიძიგური სამთო საქმის მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ბრძანდებოდა.

ა. ძიძიგური არა მხოლოდ გამოჩენილი მეცნიერი და სამთოელთა არაერთი თაობის აღმზრდელი, არამედ ფართო დიაპაზონის საზოგადო მოღვაწეც გახლდათ. იგი არჩეული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 1976 წელს კი საკავშირო XXV ყრილობის დელეგატად.

1980 წელს ა. ძიძიგური ქ. ბათუმის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

1986-1997 წ.წ. ბატონი არჩილი გახლდათ საქართველოს სამთო საინჟინრო-ტექნიკური საზოგადოების თავმჯდომარე. 1992 წელს აირჩიეს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად, სადაც სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად იღვაწა.

ა. ძიძიგურის, როგორც მეცნიერისა და უმაღლესი სკოლის დიდი ორგანიზატორის სამეცნიერო-პედაგოგიური, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა ქვეყნის უმაღლესი ხარისხის ორდენებითა და მედლებით იყო აღნიშნული;

1995 წელს აკადემიკოსი ა. ძიძიგური საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან პირველი დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“. მისი უდიდესი დამსახურება საზოგადოება „ცოდნის“ წინაშე აღინიშნა აკადემიკოს ნ. ვავილოვის სახელობის ოქროს მედლით.

ბევრი, ძალიან ბევრი რამ შეიძლება მოიგონოს ადამიანმა ბატონი არჩილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი შესანიშნავი ოჯახისა და სამეგობროს შესახებ.

ბატონი არჩილის გვერდით ყოფნა დიდი ცხოვრებისეული სკოლა გახლდათ, მისი ხელმძღვანელობით მუშაობა კი — პროფესიული ზრდის ჭეშმარიტი პროცესი. ეს დიდი პიროვნება გარდაიცვალა 1997 წელს, 83 წლის ასაკში.

აკადემიკოსი არჩილ ძიძიგური საქართველოს მეცნიერების ისტორიაში დარჩა, როგორც დიდი მეცნიერი და მოაზროვნე, რომლის სახელთანაა დაკავშირებული მრავალი საერთაშორისო მნიშვნელობის საინჟინრო პრობლემის გადაწყვეტა და სამეცნიერო გამოკვლევა. მის მიერ განვლილი გზა ნათელი გამოხატულებაა იმისა, თუ რა პერსპექტივა აქვთ ჭეშმარიტი ტალანტის მქონე, საქმისათვის თავდადებულ პიროვნებებს. მან მთელი სიცოცხლე ადამიანებს შორის კეთილი ბუნების, სითბოს, კაცთმოყვარეობის დამკვიდრებას შეალია. ამიტომაცაა, რომ შთამომავლობა ასე სათუთად ინახავს არჩილ ძიძიგურის — მეცნიერის, ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილი მამულიშვილისა და მოაზროვნის ნათელ ხსოვნას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; საქართველოს საინჟინრო აკადემია; საქართველოს სამთო საზოგადოება

◎ მოლოდინის რეჟიმი

ვის შეინწირავს ფოტო-რეპორტიორების საქმე?

2011 წლის 7 ივლისს ჯაშუშობის ბრალდებით 4 ფოტოგრაფი დააკავეს. ზურაბ ქურციკიძე, ირაკლი გედენიძე, ნათია გედენიძე და გია აბდალაძე, სასამართლომ დამნაშავეებად ცნო, მაგრამ საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, სასამართლო დარბაზიდან პირობითი მსჯავრით გაათავისუფლეს. მოსამართლე ზვიად ესებუამ გიორგი აბდალაძეს და ირაკლი გედენიძეს 4-4 წლით პირობითი სასჯელი მიუსაჯა, ქურციკიძეს — 3, ხოლო გედენიძის მეუღლეს ნათია გედენიძეს „ჯაშუშობის ხელშეწყობისთვის“ წელიწად-ნახევარი. რა მტკიცებულების საფუძველზე მიიღო მოსამართლე ესებუამ ეს გადაწყვეტილება, ამ დრომდე უცნობია, რადგან მაშინდელი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ამ საქმეს გრიფით „საიდუმლო“ კვალიფიკაცია მიენიჭა.

ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ფოტორეპორტიორებს ნასამართლეობა მოეხსნათ, თუმცა, „საიდუმლო“ გრიფი ამ სისხლის სამართლის საქმეს ისევ ადევს. ფოტოგრაფები საქმეზე „საიდუმლო“ გრიფის მოხსნას ითხოვენ, ამ მოთხოვნით პროკურატურას მიმართეს. საგამოძიებო უწყებამ ორწლიანი ლოდინის შემდეგ საქმეზე გამოძიება განაახლა. გასულ კვირას ფოტორეპორტიორები დაზარალებულის სტატუსით პროკურატურაში უკვე დაკითხეს.

დაკითხვიდან გამოსული ფოტორეპორტიორი გიორგი აბდალაძე ამბობს, რომ ისინი არასდროს ყოფილან ჯაშუშები, ელოდებიან გამოძიებას და სიმართლის დადგენას. აბდალაძის განცხადებით, მან და მისმა კოლეგებმა, რომელბიც ამავე საქმეში ბრალდებულები არიან, მიმართეს პროკურატურას შესაბამისი განცხადებით, რომ გახმაურებული საქმე თავიდან გამოეძიებინათ.

forge გიორგი აბდალაძეს ესაუბრა.

— რა კითხვები ჰქონდა პროკურატურას?

— ხელი მოვაწერეთ, რომ სანამ გამოძიება არ დასრულდება, თავი შევიკავოთ დეტალების კომენტირებისგან. მხედველობაში მაქვს საპატიმროში ყოფნის პერიოდი. ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, ჩვენ ვითხოვდით საქმეზე გრიფი „საიდუმლოს“ მოხსნას, რადგან ეს საქმე იყო შეთითხნილი. ბრალს, რომელიც ფოტორეპორტიორებს წაგვიყენეს, თავდაპირველად, არც ერთი არ ვეთანხმებოდით, მაგრამ იმ ზეწოლის გამო, რომელიც ჩვენზე განხორციელდა, ვაღიარეთ ის, რაც არ ჩაგვიდენია.

დღეს ამ საქმით გამოძიება დაინტერესდა, დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან ბევრი ხელისუფლების ყოფილი მაღალი თანამდებობის პირი პასუხისგებაში მიეცემა. იმიტომ, რომ უშუალოდ ისინი წყვეტდნენ ჩვენს ყოფნა-არყოფნის საკითხს. დღეს ერთადერთი იმის მოლოდინი გვაქვს, რომ გამოძიება რაც შეიძლება მალე დასრულდეს. უამრავი მტკიცებულება და მათ შორის დაკითხვის ოქმებია საქმეში. ყველაფერი არსებობს იმისათვის, რომ ჭეშმარიტება დადგინდეს უახლოეს მომავალში.

— ვერსიები, რომელიც დაკავების დღეს გავრცელდა, 26 მაისს უკავშირდებოდა. დღესაც თვლით, რომ 26 მაისის ფოტოები გახდა თქვენი დაკავების მიზეზი?

— ციხეში, ანუ გლდანის ჯოჯოხეთში ყოფნის დღიდან ვამბობდი, რომ 26 მაისის ფოტოების გადაღებისთვის დამაკავეს, ეს იყო ჩემი ვარაუდი და დღესაც ამ აზრზე ვარ. თუმცა, დაველოდოთ გამოძიებას. გამოძიება რომ დასრულდება, ჩვენ შეიძლება ბევრი ისეთი რამ გავიგოთ, რაც დღემდე ჩვენც არ ვიცით.

— გარდა თქვენი ჩვენებებისა, საქმეში რა მტკიცებულება დევს კიდევ, რომელიც მაშინდელ ბრალდებას ამყარებს, ან ვისი ჩვენებებია, თუ გაქვთ ამის შესახებ ინფორმაცია?

— არა. ჩვენი ჩვენების გარდა, რა დევს საქმეში, არც ერთმა არაფერი ვიცით. გრიფის ახსნაც იმიტომ იყო ჩვენი ერთ-ერთი პირველი მოთხოვნა, რომ რეალურად გაგვეგო ის მიზეზი, რატომაც მოხდა ჩვენი დაპატიმრება. ყველაზე მძიმე მუხლით გაგვასამართლეს.

— გიორგი, თქვენი დაკავების დღეებში გავრცელდა სააკაშვილის, მერაბიშვილის და უტიაშვილის ის ცნობილი საუბარი. იმ პირებიდან, ვინც ფოტოგრაფების საქმე მტკიცებულებების გარეშე შექმნა, ამ დრომდე მხოლოდ მერაბიშვილია დაკავებული, თუმცა, არა ამ ბრალდებით. რამდენად დიდია იმ პირთა სია, ვინც შექმნა ფოტოგრაფების საქმე?

— დარწმუნებით შემიძლია, გითხრათ, რომ ამ გამოძიების დასრულების შემდეგ, უამრავ საინტერესო ინფორმაციას შეიტყობს ქართველი საზოგადოება და მათ შორის ჩვენც. ფოტოგრაფების საქმეში და ამ ბრალდების შეთითხვნაში ჩართული იყო ხელისუფლების ყველა მაღალი ეშელონის წარმომადგენელი. შემიძლია, გითხრათ, რომ გამოძიების დასრულება ისეთივე ხმაურიანი იქნება, როგორიც იყო დაპატიმრება.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გრიფი მოეხსნას ამ საქმეს. საგამოძიებო უწყება ამბობს, რომ ყველაფერს დრო სჭირდება, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ, სანამ საჯარო არ გახდება ეს საქმე. მე პირადად დასამალი არაფერი მაქვს.

— საინტერესოა, დღეს რას ეტყოდი სააკაშვილს, მერაბიშვილს, უტიაშვილს და ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც შეკერეს ეს საქმე? ეს ადამიანები დღესაც ამტკიცებენ, რომ ფოტოგრაფების საქმე მტკიცებულებით იყო შექმნილი...

— უსამართლობა არავის შერჩენია. ყოფილმა, დღევანდელმა და მომავალმა ხელისუფლებამ უნდა იცოდეს ერთი რამ, ისინი კანონს უნდა ემსახურებოდნენ, ადამიანი არ უნდა იჩაგრებოდეს თავისი შეხედულების თუ თავისი ნამუშევრების გამო. ჩვენ დანაშაული არ ჩაგვიდენია, ჩვენ ვასრულებდით ჩვენს ჟურნალისტურ მოვალეობას.

არასოდეს ჩემი ქვეყნისთვის ცუდი არ გამიკეთებია, პირიქით, ტყვიაზე წავსულვარ, 2008 წელს მთელს მსოფლიოს გავაგებინე, რომ ჩვენს ქვეყანაში ომი იყო. თქვენ მკითხეთ, რას შეეკითხებოდიო — არაფერს, მე მათთან კითხვა არ მაქვს. შიდა კულუარულ საუბრებში სინანულს გამოთქვამენ, ხვდებიან, რაც გააკეთეს. მე პირადად იმ ადამიანებთან საუბრის სურვილი არ მაქვს, რომლებმაც 9 წლის განმავლობაში ჩემი ქვეყანა გაანადგურეს, ხალხი გააუბედურეს.

რაც მე გლდანში ვნახე, ეს არ იყო ციხე, ეს იყო სააკაშვილის მიერ შექმნილი კომუნისტური კონცლაგერი, სადაც ადამიანებს ფსიქოლოგიურად, ფიზიკურად და მორალურად ანადგურებდნენ. თუ ქვეყანაში სამართალი არ იქნება, ვერც ერთი ადამიანი თავს ბედნიერად ვერ იგრძნობს, მათ შორის, მეც. მოლოდინის რეჟიმში ვარ, შვილი მყავს, მეგობრები მყავს, მინდა, ნახონ, რომ ამ ქვეყანაზე სამართლიანობა არსებობს როგორც ჩემთვის, ასევე იმ ადამიანებისთვის, რომლებიც უსამართლოდ დაიჩაგრნენ წინა ხელისუფლების პერიოდში.

თამთა ძარჩავა

ᲘᲠᲐᲜᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲘᲡᲝᲚᲔᲑᲐ

ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲐᲓ ᲙᲘᲚᲘᲙᲘᲘᲡ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡ ᲡᲝᲑᲣᲰᲗᲐᲜ

9-13 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥ თეᲘᲠᲐᲜᲨᲘ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡᲩᲐᲛᲓᲒᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲪᲘᲡᲙᲠᲘᲡ“ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ, ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲡᲔᲠᲒᲘ ᲙᲐᲙᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ᲛᲘᲖᲐᲜᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ, ᲓᲐᲒᲕᲔᲓᲒᲘᲜᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲚᲩᲐᲣᲮᲠᲔᲚᲘ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ, „ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲚᲝᲛᲐᲓ“ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ (ᲛᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲙᲚᲐᲕᲐᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲛᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ I ᲣᲨᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠᲘ ᲯᲘᲚᲓᲝᲪ ᲙᲘ ᲓᲐᲐᲬᲔᲡᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ ᲐᲛ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲒᲛᲘᲠᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲕᲘᲓᲒᲔᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲗᲐᲠᲪᲐ ᲧᲐᲩᲐᲦᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲐᲖᲐᲙᲡ) ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲘᲡ ᲖᲣᲡᲢᲘ ᲛᲓᲒᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲛᲝᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐ (ᲘᲒᲘᲠ 1844 ᲬᲔᲚᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲒᲐᲜ ᲛᲘᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲘᲦᲣᲞᲐ ᲘᲠᲐᲜᲨᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲐᲛᲓᲔ ᲛᲝᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲗ, ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲔᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲜᲘᲡ ᲑᲐᲠᲗᲚᲛᲔᲣᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲠᲓᲦᲣᲛᲔᲝᲡᲘᲡ ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲔᲖᲝᲨᲘ, ᲔᲖᲝᲨᲘ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲨᲢᲝᲔᲑᲘᲡ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ ᲙᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲡᲝᲛᲔᲮᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲝᲤᲘᲖᲘᲢᲘ ᲛᲔᲣᲚᲚᲔ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲨᲘᲒᲜᲘᲗ, ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲗ). ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲕᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲘᲗ ᲝᲠᲜᲘ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲜᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲙᲝᲑᲔᲠᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘ, ᲘᲠᲐᲜᲘᲡᲢᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲜᲝᲛᲐᲓᲘ ᲑᲐᲠᲗᲐᲘᲐᲡ. ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲡ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲘᲪᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲔᲚᲘᲩᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲝᲛ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲘᲚᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲡ ᲜᲐᲮᲕᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲝᲛᲔᲮ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲗᲐ ᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲝᲛ ᲓᲐᲣᲧᲝᲕᲜᲔᲑᲚᲘᲕ ᲛᲘᲒᲕᲘᲦᲝ. ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲨᲘ ᲒᲐᲘᲠᲙᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲪᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲔᲖᲝᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘ (ᲠᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲕᲐᲠᲐᲣᲓᲡ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲐ). ᲛᲐᲜ ᲒᲣᲚᲗᲐᲜ ᲐᲮᲚᲝᲡ ᲛᲘᲘᲢᲐᲜᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲪᲐ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ, ᲒᲐᲛᲝᲔᲫᲐᲮᲔᲑᲘᲜᲐᲗ ᲐᲚᲑᲔᲠᲢ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲐᲜᲘ, ᲛᲘᲡᲘᲕᲔ ᲐᲦᲠᲓᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲛ ᲡᲐᲧᲓᲠᲘᲡ ᲛᲔᲗᲕᲐᲚᲧᲣᲠᲔ ᲓᲐ ᲣᲑᲠᲫᲐᲜᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲔᲬᲧᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲒᲕᲘᲧᲝ, ᲑᲝᲚᲝᲡ ᲙᲘ ᲡᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲝ ᲤᲝᲢᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲮᲐᲚᲘᲡᲘᲗᲝᲗ ᲓᲐᲒᲒᲗᲐᲜᲬᲛᲓᲐ. ᲣᲦᲠᲛᲔᲡᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲛᲐᲡ.

ᲞᲠᲝᲚᲝᲒᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ

თეᲘᲠᲐᲜᲘ, 9-13 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, 2014 ᲬᲔᲚᲘ

ᲐᲛ ᲓᲘᲚᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲕᲔᲓᲘᲗ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲣᲫᲘᲜᲐᲠᲘ ᲕᲐᲠ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲐᲝᲛᲓᲔᲜ ᲓᲘᲓᲘᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐ ᲜᲝᲛᲐᲓᲘ ᲑᲐᲠᲗᲐᲘᲐᲡ ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲘᲡᲐ ᲗᲔᲘᲠᲐᲜᲨᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐ-ᲛᲝᲫᲔᲑᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲒᲐᲓᲐᲕᲬᲧᲕᲘᲢᲔ, ᲯᲐᲜᲓᲑᲐᲑᲐᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲡ ᲒᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲣᲤᲝᲜᲝ-ᲛᲔᲗᲥᲘ ᲓᲐ ᲐᲘ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲓᲐᲕᲬᲔᲠ, ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲘᲪᲝᲓᲔᲡ ᲘᲒᲘ, ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲤᲝᲢᲝᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲗ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑ.

ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲫᲣᲜᲬᲘ — თეᲘᲠᲐᲜᲨᲘ ᲩᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲘᲛ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡᲙᲔᲜ, ᲡᲐᲓᲐᲪ, ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲓ, ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ, ᲐᲠᲪ ᲒᲐᲒᲖᲘᲮᲘᲓᲐᲕᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲕᲘᲪᲝᲓᲘᲗ, ᲛᲐᲡ ᲪᲮᲠᲐᲙᲚᲘᲢᲣᲚᲘ ᲔᲓᲝ ᲓᲐ ᲘᲥ ᲨᲔᲦᲬᲔᲕᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲔᲠᲥᲕᲐ ᲓᲐ ᲘᲒᲘ ᲙᲘᲚᲘᲙᲘᲘᲡ ᲡᲝᲛᲔᲗᲗᲐ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘ ᲡᲝᲑᲣᲰᲗᲐᲜ ᲨᲔᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲗᲐᲜ ᲓᲐᲕᲓᲔᲥᲘᲗ „ᲧᲐᲠᲐᲣᲚᲐᲓ“. ᲔᲠᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘᲡ ᲐᲗᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲘᲡ, ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲐᲚᲤᲠᲔᲓᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲝᲛ ᲓᲐᲣᲧᲝᲕᲜᲔᲑᲚᲘᲕ ᲛᲘᲒᲕᲘᲦᲝ. ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲨᲘ ᲒᲐᲘᲠᲙᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲪᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐ-ᲛᲝᲫᲔᲑᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲒᲐᲓᲐᲕᲬᲧᲕᲘᲢᲔ ᲠᲐᲡᲐᲪ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲓᲐ ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡᲩᲐᲛᲓᲒᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲪᲘᲡᲙᲠᲘᲡ“ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ, ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲡᲔᲠᲒᲘ ᲙᲐᲙᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ᲛᲘᲖᲐᲜᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ, ᲓᲐᲒᲕᲔᲓᲒᲘᲜᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲔᲠᲥᲕᲐ ᲓᲐ ᲘᲒᲘ ᲙᲘᲚᲘᲙᲘᲘᲡ ᲡᲝᲛᲔᲗᲗᲐ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘ ᲡᲝᲑᲣᲰᲗᲐᲜ ᲨᲔᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲗᲐᲜ ᲓᲐᲕᲓᲔᲥᲘᲗ „ᲧᲐᲠᲐᲣᲚᲐᲓ“. ᲔᲠᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘᲡ ᲐᲗᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲘᲡ, ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲐᲚᲤᲠᲔᲓᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲝᲛ ᲓᲐᲣᲧᲝᲕᲜᲔᲑᲚᲘᲕ ᲛᲘᲒᲕᲘᲦᲝ. ᲘᲥᲕᲔ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲤᲠᲐᲖᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲛ ᲡᲐᲧᲓᲠᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ ᲘᲧᲝ ᲗᲣ ᲠᲐ ᲔᲜᲐᲜᲘ ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ, ᲰᲝᲓᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲐ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐᲛ — „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ“, ᲒᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲘᲗᲑᲐ, ᲡᲐᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲝᲨᲘ ᲙᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲔᲜᲘᲡ ᲤᲚᲐᲒᲨᲢᲝᲙᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲐᲛᲘᲪ ᲐᲛᲐᲧᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲣᲠᲔᲑᲐ. ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲔᲚᲘ — ᲒᲣᲚᲐᲜᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘ ᲐᲜᲓᲠᲝ ᲜᲐᲒᲔᲚᲘᲐᲜᲘ-ᲤᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 25 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ, ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲔᲮᲕᲘᲐ. ᲘᲒᲘ ᲤᲔᲠᲔᲘᲓᲜᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ თეᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲡ, ᲬᲔᲚᲡ ᲡᲣᲚ თორმეტი ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲝᲡᲣᲚᲐ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲠᲕᲐ ᲔᲗᲝᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲐᲝᲠ, ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲡ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲐᲜᲓᲠᲝ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲢᲔᲑᲡ, ᲐᲓᲠᲔ ᲛᲔᲢᲜᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲡᲐᲓᲐ... ᲰᲝᲘ, ᲡᲐᲝᲪᲠᲔᲑᲐᲕ, ᲘᲒᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲓᲐᲔᲛᲗᲮᲕᲐ ᲐᲚᲑᲔᲠᲢ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ. ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲠᲛᲐ ᲐᲥ, ᲔᲖᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲡ, ᲐᲛᲐᲡ ᲣᲢᲧᲣᲐᲠᲐᲓ ᲒᲕᲘᲓᲒᲔᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐ-ᲛᲝᲫᲔᲑᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲐᲚᲔᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲒᲔᲚᲐ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔᲡ: ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲒᲔᲚᲐ, ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲐ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲓᲐᲜ ᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲘᲧᲕᲐᲠᲗ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲛᲝᲒᲛᲐᲠᲗᲐᲕᲗ: ᲮᲛᲐ ᲐᲘᲛᲐᲦᲚᲔᲗ ᲐᲛ ᲣᲒᲣᲜᲣᲠᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ, ᲮᲛᲐ ᲐᲘᲛᲐᲦᲚᲔᲗ! ᲔᲡᲐᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐ.

ᲓᲐᲕᲘᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲔᲗ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲤᲔᲠᲔᲘᲓᲜᲔᲚᲡ, ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲘᲚ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲡ, ᲗᲐᲕᲩᲐᲮᲠᲘᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲪᲮᲕᲔᲜᲘᲚᲜᲘ.

თეᲘᲠᲐᲜᲘ, 10 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲬᲘᲜᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲮᲔᲠᲮᲓᲐ ᲙᲘᲚᲘᲙᲘᲘᲡ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘᲡ ᲡᲝᲑᲣᲰᲘᲡ ᲜᲐᲮᲕᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲝᲛᲔᲮ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲗᲐ ᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲘᲚᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲡ ᲜᲐᲮᲕᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲗᲐᲜ ᲓᲐᲕᲓᲔᲥᲘᲗ „ᲧᲐᲠᲐᲣᲚᲐᲓ“. ᲔᲠᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘᲡ ᲐᲗᲘᲡ ᲜᲐᲮᲕᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲘᲡ, ᲘᲥᲕᲔ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲤᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ. ᲘᲥᲕᲔ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ ᲡᲐᲛᲔᲜᲝᲕᲜᲘᲐᲜᲘ ᲘᲧᲝᲡ (ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲡᲞᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ), ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ ᲨᲐᲕ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲡᲐᲪ ᲕᲐᲓᲒᲔᲜᲗ... მიღებამ გულთბილ, სრული გაგების ვითარებაში ჩაიარა. ლამის მეგობრებად დავშორდით ერთმანეთს. რამდენს ნიშნავს რწმენა კაცისა!

ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲗᲐᲜ ᲑᲐᲠᲗᲚᲛᲔᲣᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲠᲓᲦᲣᲛᲔᲝᲡᲘᲡ ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲔᲖᲝᲨᲘ

თეᲘᲠᲐᲜᲘ, 11 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲚᲩᲛᲐ, ᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ ᲡᲝᲡᲝ ᲩᲐᲮᲕᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲛᲔᲣᲚᲚᲔᲛ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲛᲝᲒᲒᲕᲘᲬᲕᲘᲔᲡ, ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲔᲚᲩᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲓᲐ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲤᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ. ᲘᲥᲕᲔ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ ᲡᲐᲛᲘᲠᲘᲜᲝᲔᲑᲘᲡ, ᲡᲞᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ), ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ ᲨᲐᲕ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲡᲐᲪ ᲕᲐᲓᲒᲔᲜᲗ... მიღებამ გულთბილ, სრული გაგების ვითარებაში ჩაიარა. ლამის მეგობრებად დავშორდით ერთმანეთს. რამდენს ნიშნავს რწმენა კაცისა!

თეᲘᲠᲐᲜᲘ, 12 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

თეᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲣᲪᲮᲝ ᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲙᲘᲑᲔᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲐᲕᲓᲘᲝᲓᲘᲗ, ᲔᲠᲗᲝᲑ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ „ᲡᲘᲣᲠᲞᲠᲘᲖᲘ“ ᲕᲘᲮᲘᲚᲔᲗ, ᲙᲘᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ ᲘᲧᲝ თუ რა ᲔᲜᲐᲜᲘ ᲘᲡ�წᲐᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ, ᲰᲝᲓᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲐ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐᲛ — „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ“, ᲒᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲘᲗᲑᲐ, ᲡᲐᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲝᲨᲘ ᲙᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲔᲜᲘᲡ ᲤᲚᲐᲒᲨᲢᲝᲙᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲐᲛᲘᲪ ᲐᲛᲐᲧᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲣᲠᲔᲑᲐ. ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲔᲚᲘ — ᲒᲣᲚᲐᲜᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘ ᲐᲜᲓᲠᲝ ᲜᲐᲒᲔᲚᲘᲐᲜᲘ-ᲤᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 25 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ, ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲔᲮᲕᲘᲐ. ᲘᲒᲘ ᲤᲔᲠᲔᲘᲓᲜᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ თეᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲡ, ᲬᲔᲚᲡ ᲡᲣᲚ თორმეტი ᲐᲮ

სამხედრო ბაზა, სასწავლო ცენტრი, თუ სამიზნე?..

2014 წლის სექტემბრის ბოლოს აშშ-ში საქართველოს ელჩის არჩილ გეგეშიძის ინფორმაციაზე დაყრდნობით, Foreign Policy-ს, Reuters-სა და New York Times-ში გავრცელდა ინფორმაცია საქართველოში სირიელი მეამბოხეების მოსამზადებელი ცენტრის განთავსების შესახებ.

ბუნებრივია, რომ ამ ავტორიტეტულ მედიასაშუალებებში გამოქვეყნებულ ინფორმაციას, როგორც საქართველოში ისე საერთაშორისო ორგანიზაციებში, საკმაოდ სერიოზული სკანდალი მოჰყვა, რასაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალური უარყოფა, ხოლო ელჩ გეგეშიძის მხრიდან, ჟურნალისტების მიერ ინფორმაციის არასწორად გაგებაზე გადაბრალება მოჰყვა.

Foreign Policy, Reuters lf New York Times და პრემიერი ღარიბაშვილი აბსოლუტურად მართლები იყვნენ, ხოლო ელჩი არჩილ გეგეშიძე ტყუოდა, რადგანაც მან ძალიან კარგად იცოდა, რომ საქართველოში სირიელი მეამბოხეების სასწავლო ცენტრის განთავსების შეთავაზებაზე განცხადება 2014 წლის 5 სექტემბერს ნატოს უელსის სამიტზე, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ გააკეთა. სწორედ ამიტომ ჩამოფრინდა 6 სექტემბერს აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ჰეიგელი და შეეცადა, შეთავაზების დეტალები დაეზუსტებინა.

საბოლოოდ კი გაირკვა, რომ საქართველოში ნატო-საქართველოს საწვრთნელი ცენტრის მშენებლობა უნდა დაიწყოს. ასევე დაფუძნდება ნატო-საქართველოს სამხედრო სკოლა და ლოჯისტიკის ცენტრი.

ის, თუ რატომ გააკეთეს თავდაცვის მინისტრმა და ელჩმა, რბილად რომ ვთქვათ, არასწორი განცხადებები და რატომ ჩააყენეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი აგორებული სკანდალით მეტად უხერხულ მდგომარეობაში, ცალკე თემაა და ამის შესახებ სხვა დროს... ახლა კი ისევ ნატო-საქართველოს საწვრთნელ ბაზას დავუბრუნდეთ.

საწვრთნელი ცენტრის მშენებლობა მომავალი წლიდან დაიწყება, მანამდე სპეციალური კომისია საქართველოს სამხედრო ინფრასტრუქტურას შეისწავლის.

„თებერვლისთვის, როდესაც იგეგმება თავდაცვის მინისტრების შეხვედრა, გეგმა საბოლოო სახით იქნება დამტკიცებული“, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ახალ სასწავლო ცენტრში საქართველოს გარდა ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების სამხედროებიც გაივლიან მომზადებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამ მეტად საჭირბოროტო საკითხთან დაკავშირებით საქართველოში არაერთგვაროვანი მოსაზრებები და შეფასებები გამოითქმის, მაგრამ ყველა თანხმდება იმაზე, რომ **ოფიციალურ თბილისს მოსკოვისთვის პირველ რიგში იმის დამტკიცება მოუწევს, რომ ამ ბაზის არსებობა რუსეთის უსაფრთხოებას არანაირად არ ემუქრება.**

სამწუხაროდ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დაწყებული, საქართველოში ფაქტობრივად არ წარმოებდა კავკასიის და ზოგადად პოსტსაბჭოთა სივრცის მიმართ რუსეთის პოლიტიკის სიღრმისეული ანალიზი. საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობები ძირითადად ემოციურ ტალღაზე იგებოდა და პრაგმატული გათვლები ძალიან მცირედოზით იყო წარმოჩინებული. ასევე დანებით შეიძლება ითქვას, რომ არც ჩვენი დასავლელი პარტნიორები აწარმოებდნენ მსგავს კვლევებს და მათი რეკომენდაციები ძირითადად იმ ინტერესების გათვალისწინებით იწერებოდა, რაც იმ მოცემულ მომენტში არა საქართველო-რუსეთის, არამედ დასავლეთ-რუსეთის ურთიერთობებისთვის იყო მისაღები და რადგანაც, პრაქტიკულ ქმედებათა რიცხვი ნულს უტოლდებოდა (და ფაქტობრივად დღესაც ასეა), საქართველოს ინტერესები მუდამ შელახული რჩებოდა და რჩება.

სწორედ ამ მიზეზების გამო, ნატო-საქართველოს სასწავლო ცენტრთან დაკავშირებით, რამდენიმე ექსპერტმა ძალიან მოკლედ განმარტა მოსალოდნელი შედეგი — **შევტოპეთ!**

ამ ერთი სიტყვით გამოიხატა მათი პოზიცია, ხოლო მოსალოდნელი საფრთხეების კომენტირებისგან თავის არიდების მიზნით, აქცენტები იმ 45 მილიონ დოლარზე გადაიტანეს, რომელიც ცენტრის მშენებლობისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს.

— უმჯობესი იქნებოდა ეს მილიონები სოციალურ პროგრამებზე და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე დახარჯოს — უნიათოდ ამბობენ ნატოს სასწავლო ცენტრის აშენების მოწინააღმდეგენი.

ეკონომიკურ ეფექტთან დაკავშირებული ასეთი მსჯელობა ნამდვილად არასწორია. არასწორია, რადგანაც რომ არ ვისაუბროთ სასწავლო ცენტრისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურებზე, სადაც უცხოელების გარდა ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო პირებიც დასაქმდებიან, დახარჯულ 45 მილიონ დოლარს სწავლებაში მონაწილე ქვეყნებთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებები ძალიან მალე ამოიღებს.

> **მოსალოდნელი და მწარე რეალობა ის გახლავთ, რომ სასწავლო ცენტრის მშენებლობა მკვეთრად უარყოფითად აისახება დარეგულირებისკენ მიმართულ ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე.**

არადა, მოსალოდნელი და მწარე რეალობა ის გახლავთ, რომ სასწავლო ცენტრის მშენებლობა მკვეთრად უარყოფითად აისახება დარეგულირებისკენ მიმართულ ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე.

საქმე იმაშია, რომ ცენტრში სწავლებას გაივლიან ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის იმ სახელმწიფოების სამხედრო მოსამსახურეები, ვისთანაც დღეს ოფიციალურ მოსკოვს დაძაბული ურთიერთობა აქვს. ასევე ნატოს ჯარები და მათი გაწრთვნის ცენტრები რადიკალური ისლამისტებისთვის ერთ-ერთ ყველაზე სასურველ სამიზნეს წარმოადგენენ და საქართველო-ნატოს სასწავლო ცენტრი შეიძლება მათთვის „დამხმარე, სასწავლო სახელმძღვანელოდაც“ გადაიქცეს.

ნატო-საქართველოს სასწავლო ცენტრის გახსნის მომხრეებს მაგალითად მოჰყავთ წლეულს, 17 აგვისტოს დაწყებული ახალქალაქის სამხედრო ბაზის მშენებლობის აუცილებლობა.

მათი განცხადებით, ნატო-საქართველოს სასწავლო ცენტრის გარშემო გამოთქმული პრეტენზიები და განცხადებები იმ რეაქციების ანალოგიური იქნება, რაც ბაზის მშენებლობის დაწყებას ჯავახეთში მცხოვრები სომეხი აქტივისტების მხრიდან გაკეთდა, ხოლო ოფიციალურ ერევანს თავის პოზიცია არ დაუფიქსირებია.

მომხრეები კიდევ უფრო შორს მიდიან და აცხადებენ, რომ ახალქალაქში არა მხოლოდ სამხედრო ბაზა და ქართველი წვევამდელების სასწავლო ცენტრი უნდა გაიხსნას, არამედ დაწყებული საფორთიფიკაციო ნაგებობების მშენებლობაც უნდა განახლდეს, რადგანაც გიუმში განთავსებულ 102-ე რუსული სამხედრო ბაზიდან აზერბაიჯანსა და თურქეთთან მიმდინარე პროექტების წინააღმდეგ სხვადასხვა სახის პროვოკაციების საფრთხე რეალურად არსებობს.

ასეთი პოზიცია ნამდვილად მისაღებია, მაგრამ არსებობს სხვა უამრავი ფაქტორი, რომელიც მკვეთრად განასხვავებს ახალქალაქის „შიდა მოხმარების“ სამხედრო ბაზას, ნატოს სასწავლო ცენტრისგან.

რადიკალი ისლამისტების საკითხი რომც გამოვრიცხოთ (არადა, ეს პრობლემაც არანაკლებ მნიშვნელოვანია), რჩება რუსული ინტერესები. თავის სტრატეგიულ პარტნიორ სომხეთთან სახმელეთო კომუნიკაციასთან დაკავშირებით.

უმთავრესია ის ხელშეკრულება, რომელიც აფხაზეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკასა და რუსეთს შორის სამხედრო თანამშრომლობაზე უნდა გაფორმდეს. ამ ხელშეკრულებას აფხაზეთის მოსახლეობაში საკმაოდ ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, მაგრამ დიდ საშიშროებას წარმოადგენს ამ თემის რეალობაში გატარების შემდეგ, აფხაზი მოსახლეობის განწყობილების რადიკალური ცვლილება, რადგანაც ყველამ კარგად იცის მათი დამოკიდებულება ევროატლანტიკურ ალიანსთან და მათი სურვილი, რომ საქართველო, სადაც მათი ინტეგრაცია გარდაუვალია, არ იყოს სამხედრო პროვოკაციების სამიზნე.

ისევ გავაგრძელებ აფხაზეთის თემას, რადგანაც ეს საქართველოსთვის მეტად სენსიტიურია.

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ახლადარჩეული პრეზიდენტის რაულ ხაჯიმბას ერთ-ერთი მთავარი საპროგრამო მიმართულება, სარკინიგზო მიმოსვლის გაფართოებაა. საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და სომხეთის პრეზიდენტის ბოლო შეხვედრის შემდეგ გაკეთებული განცხადება საქართველოსა და სომხეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებასა და ტვირთბრუნვის რამდენიმე ათეული პროცენტით გაზრდასთან დაკავშირებით, რუსული ინტერესების ამ მიმართულების ნაწილად შეიძლება შეფასდეს.

ასევე გასათვალისწინებელია რუსეთის მხრიდან დაღესტნის ტერიტორიაზე საქართველოსკენ მომავალი საავტომობილო გზის მშენებლობის დაწყება. აუცილებლად გასათვალისწინებელია ის სამხედრო ბაზებიც, რომლებიც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზეა განლაგებული.

ამ საკითხებს სიღრმისეული დაფიქრება და ანალიზი სჭირდება. ბუნებრივია, ყველა შეკითხვას ერთი საგაზეთო წერილით პასუხი ვერ გაეცემა და ამაზე პირველ რიგში ქართველ პოლიტიკოსებთან ერთად ჩვენი დასავლელი პარტნიორების სპეციალისტებმაც უნდა იმსჯელონ.

უნდა იმსჯელო არა ემოციებზე აგებულ „წერტილოვანი დარტყმებიდან“, რასაც უარყოფითის გარდა არანაირი შედეგი არ მოაქვს, არამედ უნდა გაკეთდეს ღრმა, პრაგმატული და შორსმიმავალი დასკვნები. ასევე უნდა გაიწეროს მოქმედების ისეთი გეგმა, რომელიც მომგებიანი იქნება ჩვენთვისაც, ჩვენი მეგობრებისთვისაც და რუსეთისთვისაც.

გია გაბრიჭიძე

◎ კაკალ გულში

● **ოცნების წევრთა საყურადღებოდ: გეთანხმებით, რომ ნაცები უამრავ დანაშაულს სჩადიოდნენ: იპარავდნენ ბიუჯეტის თანხებს, ნათესავებს და ახლობლებს ნიშნავდნენ კარგ თანამდებობებზე.**

გაწვდით დამატებით ინფორმაციას: ბრეჟნევის დროს კორუფცია ყვაოდა. იაგოდას და ეჟოვის დროს ხალხს ჟლეტდნენ და გულაგებში გზავნიდნენ. ჩინგის ყაენი კი საშინლად არღვევდა ადამიანის უფლებებს და დემოკრატიაზე საერთოდ არ იყო საუბარი, შეგიძლიათ განცხადებების დროს გამოიყენოთ. უფასოდ გჩუქნით!

● **საზიზღარ „აეროფლოტს“, ჩვენი მოქალაქეებისთვის დემპინგური (იაფი) ფასები დაუწესებია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ფრენაზე, რითიც ჩვენი მეგობარი, ევროპელი და თურქი ავიაკომპანიები დაუზარალებია.**

მაჭავარიანმა თქვა სპეციალურ ბრიფინგზე.

მაჭავარიანი რომ არ გვყავდეს, ძვირთან შედარებით იაფად ფრენა ხომ კარგი გვეგონებოდა?

● **მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ჰიტლერი რომ ემიგრაციაში წასულიყო, გერმანიაში დარჩენილიყვნენ ჰებელსი, გერინგი, ჰიმლერი და პარლამენტში მათ ძლიერ ფრაქციას ეყვირა: რას შვებით, გდრ-ის ანექსიას აწყობთ, როგორია თქვენი გეგმა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა, როგორ უშვებთ, რომ იქ ჯარი დგება... — აი, ამას ვისმენთ ჩვენო. — პეტრე მამრაძემ ბრძანა წუხელ.**

რას, სად და როდის (что? где? когда?) ვისმენთ, კაცო? ვინ არიან ჰიტლერი, ჰებელსი, გერინგი და ჰიმლერი, კაცო?! რა პარლამენტი და რომელი ძლიერი ფრაქცია, კაცო?! რაიხსტაგი ერქვა იმას, პარლამენტს კიდევ, ქუთაისი და უსუფაშვილი ჰქვია, კაცო! ვაააა!..

● **გიხაროდენ! გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ იუწყება, რომ უახლოეს ვაშინგტონობაზე, საპატიო ვაშინგტონელის წოდება მიენიჭება საქართველოს ელჩს აშშ-ში არჩილ გეგეშიძეს.**

წერტილოვანი დარტყმები

● **ჩემი ცოლის დაქალები „ჩემი ცოლის დაქალებს“ ელოდებიან, ამ დროს კი (სატელევიზიო დროს), აგერ უკვე ერთი საათია, ძებნილი სუბიექტი იკავებს.**

● **მიშამ მომავალ არჩევნებამდე ვერ მოვიცდითო და ეს გადატრიალებისაკენ მოწოდება არაა? თან ძებნილია ბლინ,გაიღვიძეთ თქვე მართლა გამოსლიავებულებო.**

● **ისე თქვენც კარგი სადისტები ხართ, ამ აკო მინაშვილზე, რომ კაიფობთ. თქვენი თავი წარმოიდგინეთ, აბა: სიდედრად ის ცეცხლისმფრქვეველი დრაკონი გყავდეთ, სიძედ — გოგა ონიანი და პირველი ძმაკაცი 40 წლის ასაკში შეიძინო და ისაც ნუგზარ წიკლაური იყოს? ..... კაშმარ!**

● **ხო, ხო, ხო, ხო.. მიშას რუსთავზე გამოსვლის მერე რამდენი ამოქექავდა უჯრაში შენახულ ვაზელინს ჰაააა?**

● **თხრილები ავაშენეთ და რუსეთის ჯარს გავაჩერებთო! ეს ნაღდად ცუდადაა! ჯულიეტოვიჩიც!**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

სააკაშვილი რუსეთს ხელისუფლებისთვის ბრძოლაში გამოიყენებს

ყოფილი პრეზიდენტის მომხრეები იწყებენ საპროტესტო აქციებს ტერიტორიული მთლიანობის ლოზუნგით

საქართველოს ექს-პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პარტიამ განაცხადა მასშტაბური გამოსვლის დაწყების შესახებ ხელისუფლებისათვის, რისთვისაც მთავარ არგუმენტად იყენებს ანტირუსულ ლოზუნგებს. თავად ბატონმა სააკაშვილმა გვაგრძნობინა, რომ მთავრობის შეცვლა არჩევნების გზით არარეალურია და მისი პარტია ალტერნატიული მეთოდის სახით იწყებს მასობრივ საპროტესტო აქციებს. პირველი ასეთი მიტინგი თბილისის ცენტრში 15 ნოემბერს გაიმართება „აფხაზეთის ანექსიასთან ბრძოლის“ ლოზუნგით. სხვათა შორის, ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ ანტირუსული თემატიკა მხოლოდ საბაბია, ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე გაიფრთხილა თბილისში მაიდანისათვის მზადების შესახებ და აღძრა სისხლის სამართლის საქმე „ხელისუფლების არაკონსტიტუციური გზით ხელში ჩაგდებისთვის მზადების“ ფაქტთან დაკავშირებით.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გადაწყვეტილების შესახებ – გამართოს 15 ნოემბერს მასობრივი მიტინგი თბილისის ცენტრში – განაცხადა მისი ფრაქციის ხელმძღვანელმა პარლამენტში, ყოფილმა სპიკერმა დავით ბაქრაძემ. **„ჩვენ მოვუწოდებთ ყველას, ამოგვიდგნენ მხარში, რათა ავიმაღლოთ ხმა აფხაზეთის ანექსიის წინააღმდეგ“,** – განაცხადა მან, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა აფხაზეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებული ხელშეკრულების პროექტი რუსეთის ფედერაციასთან მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ.

სხვათა შორის, ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინათ პარლამენტის წევრმა ამ პარტიიდან დავით დარჩიაშვილმა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა, რომ ოპოზიციას არანაკლებ აღელვებს „ხელისუფლების რეპრესიული პოლიტიკა, პოლიტიზირებული სასამართლო პროცესები და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერების მიმართ უსამართლო განაჩენები“. ჩვენ შეკითხვაზე, თუ გეგმავთ, პარტიამ მოაწყოს აქცია ხელისუფლების მცდელობის წინააღმდეგ, გაგზავნონ ციხეში ოპოზიციონერების უმრავლესობა – ყოფილი თავდაცვის მინისტრი ბაჩანა ახალაია, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი და თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა, – ბატონმა დარჩიაშვილმა არაორაზროვნად გვიპასუხა: „მეტი რაღა დარჩენია ოპოზიციას, როდესაც მას ასეთ ბოროტებასთან და თვითნებობასთან აქვს საქმე“.

ის, რომ 15 ნოემბრის მიტინგი, თუმცა იგი კი ეწყობა ანტირუსული ლოზუნგებით, არის სტრატეგიის ნაწილი ხელისუფლებაზე შეტევისათის, დაადასტურა თავად მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, მაგრამ ინარჩუნებს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერის პოსტს. ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ისათვის მიცემულ ინტერვიუში ოპოზიციის გამოსვლებს მან გარდუვალი უწოდა, ვინაიდან მმართველმა კოალიციამ „ქართულმა ოცნებამ“ „ქვეყანა მიიყვანა სრულ კრახამდე და დაკარგა ხალხის ნდობა“. სააკაშვილმა განაცხადა, რომ განზრახული აქვს, მალე დაბრუნდეს დიდ პოლიტიკაში და იბრძოლოს ხელისუფლებისათვის, მაგრამ ამასთან ერთად მრავალმნიშვნელოვნად შენიშნა: მთავრობის შეცვლა არჩევნებზე არარეალურია, ვინაიდან „ბიძინა ივანიშვილმა, არსებითად, გააუქმა არჩევნები და მოახდინა საქართველოს პრივატიზაცია“.

ხელისუფლება, როგორც ჩანს, სერიოზულად ეკიდება ყოფილი მმართველი პარტიისა და მისი ლიდერის განზრახვებს. როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლევან იზორიამ განაცხადა, ამ დღეებში შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღძრა სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის მიხედვით (შეთქმულება ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით). ადრე შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილი და მისი პარტნიორები „ამზადებენ თბილისში მაიდანს, კიევიდან იწვევენ ქუჩის ბრძოლებისა და საბურავების დაწყობის სპეციალისტებს“.

ამ დროს მმართველი კოალიციის ლიდერები არ არიან შეპყრობილი იმ ილუზიით, რომ „ანტირუსული თემატიკა“ მხოლოდ საფარველია. „მათ იციან, რომ ხალხი არ გაჰყვება, მათ ისე მოაბეზრეს მას თავი, – დაგვარწმუნა „ქართული ოცნებიდან“ პარლამენტის წევრმა ზაქარია ქუცნაშვილმა. – და აი ცდილობენ მოახდინონ მასების მობილიზაცია ანტირუსული და პატრიოტული ლოზუნგებით“.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

„აეროფლოტი“ ანახლებს პირდაპირ რეისებს თბილისში

ექვსწლიანი შესვენების შემდეგ, 21 ოქტომბერს „აეროფლოტი – რუსეთის ავიახაზი“ ანახლებს რეგულარულ რეისებს მარშრუტით მოსკოვი – თბილისი. როგორც ავიაკომპანიის პრესსამსახური იტყობინება, რეისები მოსკოვის აეროპორტ შერემეტიოვოდან შესრულდება ყოველდღიურად თვითმფრინავით „აირბუს A 320.

პირდაპირი ავიამიმოსვლა რუსეთსა და საქართველოს შორის შეწყდა 2006 წელს ქვეყნებს შორის პოლიტიკურ ურთიერთობათა გამწვავების ფონზე. პირდაპირი რეისები ხანმოკლე პერიოდით კვლავ განახლდა 2008 წელს, მაგრამ იმავე წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტასთან ერთად, თვითმფრინავებმაც შეწყვიტეს ფრენა.

უკანასკნელ პერიოდამდე ქვეყნებს შორის ხორციელდებოდა მხოლოდ პირდაპირი ჩარტერული რეისები.

პოლიტიკური ფონი

პირდაპირი საჰაერო ავიამიმოსვლის **განახლება ხდება თბილისსა და მოსკოვს შორის ყველაზე დიდი დაძაბულობის ფონზე 2012 წლის შემდეგ, როდესაც საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა.**

შეგახსენებთ, რომ პარლამენტის არჩევნების შედეგად ქვეყნის ხელმძღვანელობაში მოსულმა „ქართულმა ოცნებამ“ მაშინ განაცხადა თავისი განზრახვის შესახებ, მოაწესრიგოს ურთიერთობა რუსეთთან და შესთავაზა მოსკოვს პირდაპირი მოლაპარაკების ფორმატი, რომელიც უნდა შეხებოდა ჰუმანიტარულ და ეკონომიკურ საკითხებს და არ შეხებოდა „წითელ ხაზებს“, ესე იგი საქართველოს რეგიონების რუსეთის მიერ ოკუპაციის საკითხს.

ორი სახელმწიფოს წარმომადგენელთა რეგულარული შეხვედრების შედეგად, რუსეთის ფედერაციამ გააუქმა 2006 წელს შეწყვეტილი ემბარგო ქართულ პროდუქციაზე, მაგრამ ამასთან ერთად მოსკოვმა გააგრძელა საინტეგრაციო პროცესები საქართველოდან გამოყოფილ რეგიონებთან.

მიუხედავად ამისა, მას შემდეგ, რაც 13 ოქტომბერს გამოქვეყნდა რუსეთის მიერ დამუშავებული პროექტი აფხაზეთთან მოკავშირეობის ახალი შეთანხმების შესახებ,

თბილისში გააკეთეს მკვეთრი კომენტარები. საქართველოს პარლამენტმა თავის განცხადებაში შეთანხმების რუსულ ტექსტს უწოდა „ოკუპირებული აფხზეთის ანექსიის მცდელობა“.

„დროა, გამოვიღვიძოთ“

24 ოქტომბერს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ **განაცხადა, რომ რუსეთის გეგმები – შექმნას ერთობლივი ჯარები აფხაზეთთან – ართულებს ჟენევის მოლაპარაკებას, რომელზეც საერთაშორისო მეთვალყურეთა თანდასწრებით 2008 წლიდან განიხილება საქართველოს ტერიტორიული პრობლემები. საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყება ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არ დაუშვებს ძალისხმევას ჟენევის ფორმატის შენარჩუნებისათვის, მოსკოვის მცდელობის მიუხედავად – გააკეთოს საპირისპირო რამ.**

საქართველოს ყველა პოლიტიკური ძალა იზიარებს ამ პოზიციას. მაგრამ ოპოზიციას მიაჩნია, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება „არაკომპეტენტურია“ და „უძლურია, გაუძლოს მოსკოვის ზემოქმედებას ჟენევის ფორმატთან დაკავშირებით“.

საქართველოს ხელისუფლების მისამართით ანალოგიური ბრალდება წამოაყენა 27 ოქტომბერს ბრიუსელში საქართველოს ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. მისი სიტყვებით, გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან შეხვედრის დროს ევროპის სახალხო პარტიის სამიტის ფარგლებში, მან გაიგო, რომ საქართველოს პრობლემები უკვე აღარ არის დღის წესრიგში ევროპელი ლიდერებისათვის.

„სხვა მოკავშირე არაა“

დაძაბულობა შეინიშნება რუსეთ-აფხაზურ ურთიერთობებშიც. სოხუმში წარმოქმნილი პროტესტის პასუხად მოკავშირეობის შეთანხმების რუსულ პროექტთან დაკავშირებით, აფხაზეთის პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ მიმართა მოსახლეობას მოწოდებით, რომ თანამშრომლობა რუსეთის ფედერაციასთან განხორციელდება „მხოლოდ ჩვენი კონსტიტუციისა და აფხაზეთის ურყევი სუვერენიტეტის საფუძველზე“. თავის ტელემიმართვაში ხაჯიმბამ აღნიშნა, რომ აფხაზეთის მხარე მუშაობს შეთანხმების რუსულ ვარიანტში ცვლილებების შეტანაზე შეთანხმების „დაბალანსებული პროექტის“ შექმნისათვის.

აფხაზეთის ლიდერის სიტყვებით, რუსეთთან დაახლოება ყველა სფეროში, მათ შორის თავდაცვის, სასაზღვრო და საბაჟო სფეროებშიც, „თანამედროვე ტენდენციაა, რომელსაც მხარს უჭერს ყველა ქვეყანა“ გლობალიზაციის და საერთაშორისო რისკების ზრდის პირობებში.

VOA Voice of America

დედამიწის ზურგზე

აშშ-ში გარდაიცვალა კიდევ ერთი მსხვერპლი სკოლაში სროლისას, დაღუპულთა რიცხვი სამამდე გაიზარდა

მესამე მსხვერპლი გახდა 14 წლის გოგონა ჯია სორიანო. პირველი გოგონა გარდაიცვალა 24 ოქტომბერს, მაშინვე თავი მოიკლა თავად მსროლელმაც. სკოლის კიდევ სამი მოსწავლე რჩება საავადმყოფოში, ორის მდგომარეობას აფასებენ, როგორც კრიტიკულს, მესამის მდგომარეობას ექიმები მძიმეს უწოდებენ.

* * *

დასავლეთის პრესა კვლავ წერს რუსეთიდან ტვინის გადინების შესახებ – გავლენა მოახდინა სანქციებმა

წლის პირველი რვა თვის განმავლობაში რუსეთიდან მოხდა 203 659 კაცის ემიგრაცია – ეს უფრო მეტია, ვიდრე ვლადიმერ პუტინის მმართველობის რომელიმე სხვა წელიწადს, აღნიშნავს „ბლუნბერგი“. სანქციების გამო, რომლებიც უზღუდავენ რუსულ კომპანიებს უცხოურ კაპიტალში შეღწევას, და კონტროლის გამკაცრების გამო ქვეყნის შიგნით სულ უფრო მეტი მეწარმე და ინვესტორი მიდის სამუშაოდ სხვა ადგილებში.

* * *

უნგრეთში მრავალათასიანი მიტინგი ინტერნეტზე გადასახადების შემოღების წინააღმდეგ დარბევით დამთავრდა



ათობით ათასმა უნგრელმა, რომლებიც 26 ოქტომბერს ეკონომიკის სამინისტროს შენობის მახლობლად შეიკრიბნენ, გამოხატა გადამწყვეტი პროტესტი ინტერნეტ-შენაერთების გადასახადის წინააღმდეგ. მიტინგის დამთავრების შემდეგ დემონსტრანტებმა მმართველი პარტიის ოფისში ფანჯრები ჩაამტვრიეს და შენობაზე ევროკავშირის დროშა გამოკიდეს.

* * *

უკრაინაში აჯამებენ რადაში არჩევნების შედეგებს – ლიდერობენ „სახალხო ფრონტი“ და „პიოტრ პოროშენკოს ბლოკი“

უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, მერვე მოწვევის პარლამენტში შედიან პრემიერ-მინისტრ არსენი იაცენიუკის „სახალხო ფრონტი“, „პიოტრ პოროშენკოს ბლოკი“, „თვითდახმარება“ ლვოვის მერის ანდრეი სადოვის მეთაურობით, იური ბოიკოს „ოპოზიციური ბლოკი“, ოლეგ ლიაშკოს რადიკალური პარტია და იულია ტიმოშენკოს „ბატკივშჩინა“.

◎ ისტორია ემოციების გარეშე

რას ეტყვიან სკოლის მოსწავლეებს სსრ კავშირისა და სტალინის შესახებ

იმის შესახებ, თუ როგორ განმარტავენ ასეთ პიროვნებებსა და მოვლენებს ისტორიის ერთ სახელმძღვანელოში, ჩვენ ვესაუბრეთ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს, ისტორიულ-კულტურული სტანდარტის შექმნის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს ალექსანდრე ჩუბარიანს.

— ბატონო ალექსანდრე, რუსეთის ისტორიის სწავლების ერთიანი კონცეფციის განხილვის დროს სპეციალისტებმა 31 „სადავო საკითხი“ დაითვალეს. ასეთი საკითხები განა მეტი არაა?

— არა „სადავო“, არამედ „ძნელი“. როდესაც დაიწყო კულტურულ-ისტორიული სტანდარტის საზოგადოებრივი განხილვა, ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა ასოციაციებმა გამოგვიგზავნეს „ძნელი საკითხების“ თავიანთი ვარიანტები, რომელთა განხილვის დროსაც პედაგოგები აწყდებიან სირთულეებს (ვინაიდან ამ საკითხებზე მეცნიერებაში არაა გამყარებული ერთმნიშვნელოვანი თვალსაზრისი). რასაკვირველია, ასეთი საკითხები 31-ზე უფრო მეტია. მაგრამ ამ სიაში არის ისეთი გლობალურებიც, როგორიცაა „საბჭოთა საზოგადოებისა და საბჭოთა პერიოდის შეფასება ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრებაში“, მაგრამ არის უფრო პატარა თემები, ისეთები, როგორიცაა „კონკრეტული ისტორიული პიროვნების როლის შეფასება“. მათგან ჩვენ გამოვყავით 12 პირველი რიგისა, რომლებთან დაკავშირებითაც მომზადდა 4 ბროშურა. ისინი გამოიცემა ოქტომბრის ბოლოს.

დიქტატურა თუ?..

— ამბობენ, რომ სტალინის პერიოდის რეპრესიებს ახლა განმარტავენ, როგორც „სტალინურ სოციალიზმს“?

— განხილვის სტადიაში მართლაც იყო ტერმინი „სტალინური სოციალიზმი“, მაგრამ ჩვენ იგი უმალვე უარვყავით. ჩვენ შემოვიღეთ ტერმინი, ასევე საკმაოდ სადავო, „მოდერნიზაციის საბჭოთა ვარიანტი“. დასაწყისში მან ერთგვარი გაუცხოება გამოიწვია. მიაჩნდათ, რომ სტალინის პერიოდს სიტყვა „მოდერნიზაცია“ დიდად არ მიესადაგება, მაგრამ შემდეგ მან მოულოდნელად მოიპოვა მხარდაჭერა. ჩვენ გერმანელ კოლეგებთან ერთად ვამზადებთ ერთობლივ სახელმძღვანელოს ისტორიაში, რომლის წინასიტყვაობაშიც გერმანელმა პროფესორმა საბჭოთა დროზე დაწერა — „მოდერნიზაციული დიქტატურა“. სტანდარტში არის განმარტება, რომ მოდერნიზაციის საბჭოთა ვარიანტი — ესაა სამრეწველო განვითარება, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, რომელიც განხორციელდა მასობრივი რეპრესიების ვითარებაში და ჰქონდა ნეგატიური შედეგები. ესაა დემოკრატიის შეზღუდვა, ერთპარტიული სისტემა. მაგრამ ამავე დროს ესაა — მეცნიერების, განათლებისა და კულტურის განვითარება. აი როგორი ერთიმეორის საპირისპირო სურათი იდება მოდერნიზაციის საბჭოთა ვარიანტის ცნებაში.

— დღეს სსრ კავშირის ჩამოყალიბების სხვადასხვა ახსნა არსებობს. ბალტიისპირელები ამბობენ, რომ ეს იყო ოკუპაცია, შუა აზიის რესპუბლიკებში ამტკიცებენ, რომ იყო კოლონიზაცია.

— თქვენ სწორი ბრძანდებით, ამჟამად შუა აზიის ისტორიკოსებს შორის გავრცელებულია იდეა იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის შემადგენლობაში მათი ყოფნის პერიოდი იყო კოლონიური. როდესაც ამ, მართლაც, რთულ თემას განვიხილავდით, გვქონდა იდეა, გვეჩვენებინა ამ პროცესის ორგვარი ხასიათი. ერთი მხრივ, შემოერთებულ რესპუბლიკებს თითქმის არ ჰქონიათ სხვა ალტერნატივა. მეორე მხრივ, დიდი სახელმწიფოს შემადგენლობაში მოხვედრით ისინი ეკონომიკურად ჩაერთვნენ უფრო ვრცელ კონტექსტში და მიიღეს დიდი შესაძლებლობა სამრეწველო განვითარებისათვის და მსოფლიო არენაზეც კი გადიოდნენ. ყველა რესპუბლიკაში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები მეცნიერების, ხელოვნების და კულტურის განვითარებისათვის. ეს, უსათუოდ, პოზიტიური მომენტია. მაგრამ ამასთან ერთად იყო ძალადობრივი რუსიფიკაცია. და ესეც უნდა ვაღიაროთ. საინტერესოა, რომ უკრაინის ისტორიის ერთ-ერთ ბოლო წიგნში, რომელიც ჩვენთვის რუსულ ენაზე გამოვიდა, ნათქვამი იყო, რომ ბევრი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლებიც აფუძნებდნენ უკრაინის ეროვნულ იდენტურობას, შეიქმნა, როდესაც უკრაინა რუსეთის შემადგენლობაში იყო, XIX საუკუნეში. ჩვენ გავმართეთ სპეციალური დისკუსია ყაზანშიც, სადაც არსებობს სახელმძღვანელოების თავისი რეგიონალური დანართი, რომელშიც არის ყაზანის აღების შესახებ საკმაოდ მკაცრი ფორმულირებები, რომლებიც არ ემთხვევა იმას, რაც ფედერალურ სახელმძღვანელოში წერია. ამიტომ სტანდარტი გვაძლევს შესაძლებლობას წარმოვადგინოთ იმის ობიექტური სურათი, თუ რა მიიღო სხვადასხვა ხალხმა, როდესაც სსრ კავშირის შემადგენლობაში შევიდა. მე წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ ეს იყოს რაღაც იდეალიზაცია. როგორც იყო, ისე იყო. რაც შეეხება ბალტიისპირეთს, მათთან ისტორიკოსებსა და საზოგადოებრივ მოღვაწეებს შორის არის მეტად პოლიტიზებული შეხედულება ამ მოვლენებზე. ამჟამად მზადდება დოკუმენტების კრებული საბჭოთა ეკონომიკაზე, რომელთა თანახმადაც ბალტიის ქვეყნებს საბჭოთა პერიოდში უფრო მეტი გამოეყოფოდათ, ვიდრე სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს.

სტალინური რეპრესიები თუ სტალინური სოციალიზმი? ომი - დიდი სამამულო თუ მეორე მსოფლიო?

XXI საუკუნის სირთულეები

— „ნეზავისიმაია გაზეტამ“ გამოაქვეყნა ინფორმაცია: ახალი ისტორიულ-კულტურული სტანდარტიდან „გამოდის, რომ XXI საუკუნის დასაწყისში ჩვენ ქვეყანას არ ჰქონია არც პრობლემები, არც ჩავარდნები, არამედ იყო მთლიანი გამარჯვებებისა და მიღწევების დიდი რიგი“.

— თუ როგორ ახსნიან XXI საუკუნის დასაწყისის მოვლენებს, დიდად არის დამოკიდებული სახელმძღვანელოების ავტორებზე. ჩვენ გვქონდა საკმაოდ ცხოველი დისკუსია იმის შესახებ, თუ როგორ დავამთავროთ ისტორიის სახელმძღვანელო — 1990 წლით, 2000 წლით. მაგრამ საბოლოო ჯამში შევთანხმდით იმაზე, რომ დასკვნითი ნაწილი შეეხება XXI საუკუნის დასაწყისსაც. ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხია, ვინაიდან ჩვენს საზოგადოებაში არაა ამ პერიოდის შეფასების ჩამოყალიბებული, მთელი საზოგადოებისათვის მისაღები თვალსაზრისი. კონცეფციაში, რომელიც ჩვენ დავწერეთ, არის საკვანძო საკითხები: 90-იანი წლების დასაწყისში რუსეთის შესვლის შესახებ პრინციპულად ახალ ეტაპზე, რომელსაც მხარს უჭერს რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა, და პრივატიზაციის, საზოგადოების ფენებად ძლიერი დაშლის (მდიდრებად და ღარიბებად) სერიოზული სოციალური და ეკონომიკური შედეგების ნეგატიური ასპექტების შეუფასებლობა. ამ მოვლენათა ახსნა ჩვენ დავუტოვეთ ყოველ კონკრეტულ მასწავლებელს, რომელიც ძნელად რომ ილაპარაკებს მთლიან გამარჯვებებზე, თუკი ის ცხოვრობს დღევანდელ რუსეთში, სადაც თავადაც შეუძლიათ, თვალყური ადევნოს და იგრძნოს არსებული სირთულეები.

— ამ ცოტა ხნის წინათ, გამოუშვეს სასკოლო დღიურები ჰიტლერის ფოტოგრაფიით. როგორ უყურებთ ასეთ რამეებს?

— მკვეთრად უარყოფითად. ჰიტლერი XX საუკუნის ყველაზე ოდიოზური ფიგურაა. ამერიკის შეერთებულ შტატებში არის ჰიტლერის სურათების კოლექცია და იყო იმის იდეაც კი, რომ მოეწყოთ მათი გამოფენა. მაგრამ ეს აღარ გაუკეთებიათ. ჯერ ერთი, მეტად მცირეა ისტორიულ-დროებითი დისტანცია. ცოცხლები არიან ადამიანები, ვინც ომში ღებულობდა მონაწილეობას. მეორეც, არის დანაშაულობანი, რომელთა გამართლებაც არაფრით არ შეიძლება. ვფიქრობ, ასეთი ამბები (გამოფენები, ფოტოების გამოქვეყნება) ზიანს აყენებს საზოგადოების პოლიტიკურ კონსოლიდაციას და შეიძლება იყოს არგუმენტი მათთვის, ვისაც ნაცისტური იდეოლოგიის რეანიმაცია სურს.

ვლადიმერ პოლუპანოვი

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

◎ პროფესიონალის სიტყვა

ქართული მაკარონი თავის ისტორიანად...

მაკარონი იტალიური სიტყვაა. იტალიური სპაგეტი იპყრობს ამერიკას, ავსტრალიასა და თქვენ წარმოიდგინეთ, იაპონიასაც კი... ქვეყნები, რომლებიც კოსმოსში მაღალტექნოლოგიურ დანადგარებს აგზავნიან, მაკარონს იტალიიდან ყიდულობენ. სწორედ ეს გახლავთ პროფესიული პატრიოტიზმი.

ამ ფქვილოვან ნაწარმს საინტერესო ისტორია აქვს. საქართველოში ბევრმა არ იცის, რომ მაკარონის ქარხანა თბილისში ჯერ კიდევ 30-იან წლებში აშენდა — 1937 წლის, 7 ნოემბერს, სადღესასწაულო პარადზე, მაკარონის ქარხნის „პალტარატონკას“ ზედ ტრიბუნების წინ საბურავი დაეშვა... მაშინდელი დირექტორი ალექსი ჯიქიძე, როგორც „მავნებელი“, დაიჭირეს და გააციმბირეს (დახვრეტას გადაურჩა), ძალიან საინტერესო და არაჩვეულებრივად განათლებული ინჟინერი გახლდათ (დამთავრებული ჰქონდა ლენინგრადის საფეიქრო ინსტიტუტი). რთული ცხოვრების გზა განვლო. მასთან ერთად მომიწია მუშაობა სისტემაში, გვიყვებოდა როგორ გაიტანა თავი ციმბირის კატორღაში. — ხან დალაქობას ვიბრალებდი, ხან მეწაღლეობას, ხანაც მზარეულობასო. მწვანე ფოთოლს თუ დავინახავდი, ვღეჭავდი, სურავანდი რომ არ გამჩენოდაო. ბოლოს იქაური ექიმი ქალი შეირთო და სიკვდილს გადარჩენილი თბილისში დაბრუნდა. მისი თანაჯგუფელი გახლდათ ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე ალექსი კოსიგინი, რომელმაც თბილისში ჩამოსვლისას ა. ჯიქიძე მოიკითხა. თქვენ წარმოიდგინეთ, ორთაჭალჰესის წინ ოროთახიანი ბინაც მისცეს, იქ კოსიგინის სტუმრობას ელოდებოდნენ, მაგრამ... ალექსი ჯიქიძე მაშინვე „საქპურტრესტში“ დააბრუნეს სამუშაოდ და თავის ცოდნა-გამოცდილებას ახალგაზრდებს გვიზიარებდა. ძალიან გულახდილი და გულღია ადამიანი გახლდათ.

90-იან წლებში საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო გამოფენაზე შვეიცარიული „მიულერის“ მაკარონის ხაზი შეიძინა, რომელიც თემქაზე №8 პურის ქარხანაში დამონტაჟდა. ამ შესანიშნავ ხაზს (ავტომატს) სულ 4 კაცი ემსახურებოდა და მთელი ამიერკავკასიის მაკარონით უზრუნველყოფა შეეძლო. თუმცა, რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ქართული ჯარისთვის მაკარონი შემოჰქონდათ უცხოეთიდან (ალბათ, ძნელი მისახვედრი არაა თუ რატომ).

ქართველი მეწარმეების მიმართ უდიერი მოპყრობა ერთგვარ ტრადიციად იქცა. საინტერესოდ განვითარდა ქართული მაკარონის ისტორია... მიხეილ სააკაშვილმა აეროპორტის მიმდებარედ ერთ-ერთ საწარმოში მაკარონის ხაზი გახსნა და გამოაცხადა: „პირველად საქართველოში შევქმენით მაკარონის წარმოება, რომელიც ორი ათას კაცს დაასაქმებსო!!! მაშინ „საქართველოს რესპუბლიკაში“ წერილიც გამოვაქვეყნე პრეზიდენტის განცხადების საწინააღმდეგოდ, რადგანაც ეს მორიგი დიდი ტყუილი იყო.

ქართულ მაკარონს და იქ დასაქმებულ ადამიანებს საინტერესო ისტორია აქვთ და ამის დავიწყება მეწარმეთა და მომხმარებელთათვის სწორი არ იქნება.

მალხაზ დოლიძე,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე

◎ ინფორმაცია

ქუთაისში ახალშობილი სადარბაზოში იპოვეს

4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ)სალიცენზიო ობიექტი (ჭაბურღილი) საჭიროებს ტერიტორიის დასუფთავებას და თავმორთულობის მოწყობას; თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქ. ბათუმი, შანიძის ქ. N14-ის მიმდებარედ (დაბა ჩაქვის მიმდებარე ტერიტორია) მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით, (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის მოცულობა -100 მ³ დღე/დამეში).
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქ. ბათუმი
7	აუქციონის საწყისი ფასი	417 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	41,70 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	283 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 29 ოქტომბრის დღის 12.00 საათიდან და დასრულდება 2014 წლის 01 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 01 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 01 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	3 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

დამტკიცებულია №1 (2 ფურცელი)
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2014 წლის „27 ოქტომბრის“
№ ს-638 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქ. ქობულეთში, თავისუფლების ქ.N 23³ -27³ -ს მიმდებარედ მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით, (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის მოცულობა 10 მ ³ დღე/დამეში).
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქ. ქობულეთი
7	აუქციონის საწყისი ფასი	42 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	4,20 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	208 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 29 ოქტომბრის დღის 12.00 საათიდან და დასრულდება 2014 წლის 01 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 01 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 01 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	3 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

განცხადება

2014 წლის 17 დეკემბერს, 15 საათზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №7), გაიმართება შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში – ქ. ჭიათურა, ნონეშვილის ქუჩა №7;**
- **შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ოფისში - ქ. ჭიათურა, ძმები დეკანოზიშვილების ქ. №1;**
- **შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 8 (95) 59 52 55; 8 (95) 28 75 60.**

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

შპს „ჯორჯიან მანგანეზის“
ადმინისტრაცია

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

სს „ელმავალმშენებელი“ 2014 წლის 27 ოქტომბრიდან აცხადებს აუქციონს მეორადი ლიანდაგის დემონტაჟის და დემონტაჟის შედეგად მიღებული P-50 და P-65 მეორადი რელსის რეალიზაციის შესახებ.

ლოტი №1:
P-50 და P-65 მეორადი რელსი – სავარაუდოდ 175ტ. – 1ტ. საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 320 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

მყიდველი ვალდებულია თავისი ხარჯებით მოახდინოს ლიანდაგის დემონტაჟი, ტრანსპორტის და მუშახელის დაქირავება, დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი რელსის დაჭრა, დატვირთვა და საზოგადოების ტერიტორიიდან გატანა.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ყველა მსურველმა უნდა გადაიხადოს „ბე“ (ლოტის ღირებულების 10%), რომელიც წაგების შემთხვევაში მონაწილეს დაუბრუნდება უკან.

გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ რეკვიზიტებზე:
USD-Account: Intermediary Bank: Citibank N.A., New York, USA; SWIFT: CITIUS33 Account With Institution; Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22; 3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia, Beneficiary; JSC ELMAVALMSHENEBELI, Account: GE59BG0000000298256900.

GEL-Account: სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22, სს „ელმავალმშენებელი“, მიმღების ანგარიშის ნომერი GE59BG0000000298256900.

მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე მოგებული საქონლის საბოლოო გასაყიდი მთლიანი ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და „ბე“ არ დაუბრუნდება.

ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:
აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება ყოველდღე უქმე დღეების გარდა, 10-დან 15 საათამდე (ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის II სართული, ოთახი №216).

აუქციონი გაიმართება 2014 წლის 31 ოქტომბერს 12 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის II სართული, ოთახი №219.

აუქციონში მონაწილეობისათვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ, ლოტის მითითებით, მონაწილეზე სრული ინფორმაციის გათვალისწინებით, მისამართის და საკონტაქტო ტელეფონის მითითებით.
- „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი.
- პირადობის მოწმობის ქსერო ასლი.
- ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით.
- იურიდიულმა პირებმა დამატებით წარმოადგინონ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:
აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა).

ინფორმაცია აუქციონის შესახებ შეიძლება მიიღოთ: ვებ-გვერდი: www.glmf.ge; ტელ. 5 77 43 47 42, 5 77 003 707.

სს „ელმავალმშენებლის“ მუდმივმოქმედი საააუქციონო და საკონკურსო კომისია.

◎ ძიუდო

ქართველთა ნადავლი მაიამიდან

ერთი ვერცხლი და სამი ბრინჯაო ინდივიდუალურსა და მე-2 ადგილი გუნდურში — ასეთი შედეგით დაასრულეს ასპარეზობა ახალგაზრდა ქართველმა ძიუდოისტებმა მაიამიში (აშშ) გამართულ თანატოლთა მსოფლიოს ჩემპიონატზე. კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდა გუგა კიბორძალიძე (+100), ბრინჯაოს მედლებს კი კობა მჭედლიშვილი (73), ლევან გუგავა (81) და ბექა ღვინიაშვილი (90) დაეუფლნენ.

კიბორძალიძის ვერცხლი ნამდვილი სიურპრიზი იყო. წლეულს ევროპის პირველობაზე იგი მეხუთე ადგილზე გავიდა, ამჯერად კი ბევრად უკეთ იჭიდავა. მსოფლიოს და ევროპის ვიცე-ჩემპიონის, კონტინენტის ჩემპიონატების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორ აკაკი კიბორძალიძის ვაჟმა ჯგუფში ზედიზედ სძლია კანადელ მარტინ რიგილსკის, სერბ ზარკო გულუმსა და ეგვიპტელ აჰმედ ვაჰიდის, ხოლო ნახევარფინალში უკრაინელ ანტონ რუდნიკს აჯობა, მაგრამ გადამწყვეტი პაექრობა მონღოლ დუურენბაიარ ულზიიბაიართან დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ბექა ღვინიაშვილმა კორეელ ჯაე იუნ კიმსა და იაპონელ შოიჩირო მუკაის ჯერ ვაზარი აართვა, მერე შებოჭა. მან ლი კოჩმანიც (ისრაელი) იპონით დაამარცხა. ევროპის წლევანდელი ჩემპიონი ქართველი (შარშან ევროპაც მოიგო და მსოფლიოც) ნახევარფინალში უნგრელ კრისტიან ტოტს დაუპირისპირდა. მადიარი, რომელმაც წლეულს აგვისტოში მსოფლიოს ჩემპიონატზე ვალერი ლიპარტელიანს სძლია და ვერცხლის მედალს დაეუფლა, ღვინიაშვილს აქამდე ოთხჯერ ჰყავდა დამარცხებული. უნგრელი ამჯერად უკეთ მომზადებული აღმოჩნდა და ჩემპიონობაც მას დარჩა - ფინალში ესპანეთის მოქალაქე ნიკოლოზ შერაზადიშვილსაც აჯობა. ღვინიაშვილმა ბრინჯაოსთვის პაექრობა გერმანელ დაიდ ტეკიჩს მოუგო.

ლევან გუგავა შეჯიბრებებიდან იშვიათად რომ უმეტესად დაბრუნდეს. წლეულს მან წონა შეიცვალა, თუმცა მალევე შეძლო ადაპტაცია - ევროპაზეც მესამე იყო. მაიამიში ჯერ მექსიკელი ჰერმან აიალა, შემდეგ - ჰოლანდიელი ფრანკ დე უაიტი, ფრანგი პაპე გოუ ნდიაე და ლატვიელი გლებს ტალალუევსი დაამარცხა, ნახევარფინალი რუს მიხაილ იგოლნიკოვთან დათმო, მესამე ადგილისთვის ორთაბრძოლაში კი ჰოლანდიელი რიკო ჰარდერსი ჩამოიშორა გზიდან. რაც შეეხება მჭედლიშვილის ბრინჯაოს, მის შესახებ წინა ნომერში დავწერეთ.

ჩემპიონატის ბოლო დღეს მაიამიში გუნდური პირველობა გაიმართა. ჩვენმა ბიჭებმა უზბეკეთს, ავსტრიასა და რუსეთს მოუგეს, მაგრამ ფინალში იაპონელებთან დაძაბულ ბრძოლაში 2:3 დამარცხდნენ და მეორე ადგილზე გავიდნენ.

აბელ ნანავა

სურათზე: გუგა კიბორძალიძე.

◎ ჭადრაკი

ჯობავამ მეორე ადგილზე გადაინაცვლა

ტაშკენტში გაგრძელდა მოჭადრაკე ვაჟთა ფიდეს მსოფლიო გრან პრის მეორე ეტაპი. მე-5 ტურში ბაადურ ჯობავამ (რეიტინგი — 2717) შავი ფიგურებით რუსი სერგეი კარიაკინი (2767) 31-ე სვლაზე დაამარცხა და გათამაშების ცხრილში 3 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა. მეხუთე ტურის დანარჩენო შეხვედრები ასე დასრულდა: დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი) — მაქსიმ ვაშიე — ლაგრავი (საფრანგეთი) 1:0, ჰიკარუ ნაკამურა (აშშ) — ბორის გელფანდი (ისრაელი) 1:0. დაზავდნენ: თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) — დმიტრი ანდრეიკინი (რუსეთი), რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) — ანიშ გირი (ჰოლანდია), ფაბიანო კარუანა (იტალია) — შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი).

ხუთი ტურის შემდეგ: ნაკამურა — 3,5, ჯობავა, ვაშიე — ლაგრავი, ანდრეიკინი — 3-3, კარიაკინი, მამედიაროვი, რაჯაბოვი, იაკოვენკო, გირი — 2,5-2,5, კარუანა — 2, კასიმჯანოვი, გელფანდი — 1,5-1,5 ქულა.

ლაშა დიდია

◎ კრივი

წყვილი „ბრინჯაო“ ზაგრებიდან

ხორვატეთის დედაქალაქში დამთავრდა ახალგაზრდა მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს 6 წარმომადგენელი მონაწილეობდა: გაგიკ პოზოიანი (52 კგ), უჩა მაისურაძე (56), ლაშა გურული (60), ნუკრი ადამია (64), გიორგი ხარაბაძე (69) და რატი ტლაშაძე (75). მათგან გამორჩეულად იასპარეზეს გურულმა და ხარაბაძემ, რომლებმაც ზედიზედ სამ-სამ მეტოქეს სძლიეს და ნახევარფინალში გავიდნენ (დანარჩენები ადრეულ ეტაპზე გამოეთიშნენ შეჯიბრებას), იქ, შესაბამისად, დალტონ სმიტსა (ინგლისი) და ჯენ ჯოისთან (ირლანდია) დამარცხდნენ და ბრინჯაოს მედლებს დაყაბულდნენ.

თამაზ პატარაია

◎ ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

თბილისში დაიწყო 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი, რომელშიც ჭაბუკ „ჯვაროსნებთან“ ერთად მათი თანატოლი პოლონელები, ესტონელები და ლიხტენშტაინელები თამაშობენ. გაუწყებთ სასტარტო მატჩების შედეგებს:

საქართველო (მწვრთნელები გოჩა ტყებუჩავა, გიორგი ნემსაძე) — ლიხტენშტაინი 3:0, პოლონეთი — ესტონეთი 4:0.

გაისად ელიტ-რაუნდში აღნიშნული კვარტეტიდან ორი საუკეთესო გუნდი იასპარეზებს.

* * *

XXVI ეროვნული ჩემპიონატის X ტურის ცენტრალურ შეხვედრაში გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა თბილისის „დინამომ“ შინ ერთ-ერთი უახლოესი მდევარი „ცხინვალი“ დაჯაბნა — 6:1 და უკვე სოლიდური ჰანდიკაპით დაწინაურდა (**გოლები:** პაპუნაშვილი — 3, პარუნაშვილი, ძარია, ცინცაძე; გიგაური).

დანარჩენი შედეგები: „სამტრედია“ — „ზუგდიდი“ 0:1, „ჩიხურა“ — „ტორპედო“ 2:2, „მეტალურგი“ — „კოლხეთი“ 1:0, „ზესტაფონი“ — „მერანი“ 0:0, „გურია“ — „ბათუმი“ 1:0, „სიონი“ — „ვიტ ჯორჯია“ 0:0. ჩაიშალა „შუქურა“ — „დილა“.

ლიდერთა ჯგუფი: „დინამო“ — 23, „სამტრედია“, „ცხინვალი“ — 17-17 ქულა.

* * *

იტალია. „იუვენტუსი“ — „პალერმო“ 2:0, „მილანი“ — „ფიორენტინა“ 1:1, „ნაპოლი“ — „ვერონა“ 6:2.

ესპანეთი. „რეალი“ — „ბარსელონა“ 3:1, „ხეტაფე“ — „ატლეტიკო“ 0:1, „მალაგა“ — „რაიო ვალეკანო“ 4:0.

ინგლისი. „მანჩესტერი“ — „ჩელსი“ 1:1, „სანდერლენდი“ — „არსენალი“ 0:2, „ვესტ ჰემი“ — „სიტი“ 2:1.

გერმანია. „გლადბახი“ — „ბაიერნი“ 0:0, „ბორუსია“ — „ჰანოვერი“ 0:1, „ლევერკუზენი“ — „შალკე“ 1:0.

საფრანგეთი. „ლიონი“ — „მარსელი“ 1:0.

გიორგი ფოთაძე

◎ რაგბი

ნახევარფინალში — რუსეთი

საქართველოს 19-წლამდელ მორაგბეთა ნაკრები პორტუგალიის დედაქალაქში იმყოფება. ლისაბონი ამ ასაკში ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობს. მეოთხედფინალურ მატჩში ჩვენი გუნდი (რატი შანიძე, იოსებ კიკვაძე, გიორგი კოშაძე, ბადრი ლიპარტელიანი, დავით გულიტაშვილი, რეზო ჯინჭველაშვილი, ვასილ ლობჟანიძე. ნიკა ნეფარიძე, ბადრი ალხაზიშვილი, ბექა კაკაბაძე, როლანდ კვაჭაძე, ოთარ გიორგაძე, თორნიკე ბუბუტეიშვილი, ბადრი დანგაძე, დავით პაპავაძე. გიორგი ტორაძე, თორნიკე მატარაძე, გიორგი მელიქიძე, თორნიკე ზოიძე, ბესიკ ბარბაქაძე, თემურ თუთბერიძე, გიორგი ბაბუნაშვილი, ირაკლი სვანიძე) ჰოლანდიელ თანატოლებს დაუპირისპირდა. ტიტების ქვეყნის წარმომადგენლებმა თამაში აქტიურად დაიწყეს და მე-4 წუთზე ანგარიშის გახსნის შესანიშნავი შანსი მიეცათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს. სამაგიეროდ, ახალგაზრდა ბორჯღალოსნებმა იყოჩაღეს და ორთაბრძოლა იოლ გამარჯვებამდე მიიყვანეს — 55:3. ნახევარფინალში ქართველთა მეტოქე რუსეთის ნაკრები იქნება, რომელმაც პოლონეთის გუნდს მოუგო -48:15. ესპანეთი-რუმინეთი 24:13, პორტუგალია-ბელგია 38:5.

ნახევარფინალში ითამაშებენ: საქართველო-რუსეთი, ესპანეთი-პორტუგალია.

ლექსო ცინცაძე

◎ შვიდკაცა რაგბი

„ხარებმა“ „ყოჩებს“ ურქინეს

12 გუნდი მონაწილეობდა „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ გამართულ შვიდკაცა რაგბის საქართველოს ჩემპიონატში. ორგანიზატორებმა ისინი სამ ჯგუფში გადაანაწილეს. განსაკუთრებით რუსთავის „ხარებმა“ იყოჩაღა. მართალია, ჯგუფში მე-2 ადგილი დაიკავა, მაგრამ შემდეგ ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგო: ჯერ ქუთაისის „აია“ დაამარცხა, შემდეგ „ბათუმს“ აჯობა, ფინალი კი „ყოჩებთან“ დრამატული გამოდგა: მატჩის ძირითადი დრო ფრედ — 12:12 დასრულდა. დამატებით დროში რუსთაველები უკეთ გაისარჯნენ და ჩემპიონობაც იზეიმეს — 17:12.

A ჯგუფი

„ლელო“ — „ბარბაროსები“ 38:0, „ჯიქი“ — „ხარები“ 19:14. „ლელო“ — „ხარები“ 5:33, „ბარბაროსები“ — „ჯიქი“ 0:42, „ხარები“ — „ბარბაროსები“ 49:0, „ლელო“ — „ჯიქი“ 19:26.

1. „ჯიქი“ — 6 ქულა, 2. „ხარები“ — 4, 3. „ლელო“ — 2, 4. „ბარბაროსები“ — 0.

B ჯგუფი

„არმია“ — „ბაგრატი“ 17:20, „აია“ — „ბათუმი“ 7:12, „არმია“ — „ბათუმი“ 0:47. „ბაგრატი“ — „აია“ 0:43, „ბათუმი“ — „ბაგრატი“ 24:0, „არმია“ — „აია“ 12:45,

1. „ბათუმი“ — 6 ქულა, 2. „აია“ — 4, 3. „ბაგრატი“ — 2, 4. „არმია“ — 0.

C ჯგუფი

„ლოკომოტივი“-„აკადემია“ 26:7, „ყოჩები“-„თიბიეს“ 14:0, „ლოკომოტივი“ — „თიბიეს“ 50:0, „აკადემია“ — „ყოჩები“ 12:7, „თიბიეს“-„აკადემია“ 7:33, „ლოკომოტივი“ — „ყოჩები“ 0:21.

1. „ყოჩები“ — 4 ქულა, 2. „ლოკომოტივი“ — 4, 3. „აკადემია“ — 4, 4. „თიბიეს“ - 0.

III ადგილისთვის. „ჯიქი“ — „ბათუმი“ 26:5

ფინალი. „ხარები“ — „ყოჩები“ 17:12 (დ.დ)

საბოლოო მდგომარეობა.

1.„ხარები“, 2. „ყოჩები“, 3. „ჯიქი“, 4. „ბათუმი“, 5. „აკადემია“, 6. „აია“, 7. „ლოკომოტივი“, 8. „ლელო“, 9. „თიბიეს“, 10. „ბაგრატი“, 11. „არმია“, 12. „ბარბაროსები“.

ვაჟა ნოსირელი

სურათზე: რუსთავის „ხარები“.

◎ სკოლა

ყოველი მინისტრის შეცვლაზე კანონი არ უნდა იცვლებოდეს!

2014 წლის ბოლომდე მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდა ყველა მოქმედმა მასწავლებელმა უნდა გაიაროს, რათა მასწავლებლობის უფლება მოიპოვოს. განათლების სამინისტროს პროექტით პედაგოგები დაიყოფიან 4 პროფესიულ კატეგორიად (განვითარებისა და კარიერული ზრდის ახალი სქემის მიხედვით) — **მენტორი მასწავლებელი (უმაღლესი კატეგორია); მკვლევარი მასწავლებელი (პირველი კატეგორია), წარჩინებული მასწავლებელი (მეორე კატეგორია); პრაქტიკოსი მასწავლებელი (მესამე კატეგორია); ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლებისთვის კატეგორიების მინიჭება-შენარჩუნება, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის პრინციპები და მექანიზმები აღიწერება მთავრობის დადგენილებაში.** მასწავლებელს ყოველი კატეგორიის მინიჭება დაუდასტურდება შესაბამისი სახელმწიფო სერტიფიკატით — აღნიშნულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტის თანდართულ განმარტებით ბარათში.

ახალი კანონპროექტით პედაგოგობისა და დირექტორობის ჩამორთმევა შეეძლება განათლების სამინისტროს. პედაგოგს უფლება რჩება, ზემდგომის ეს გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივროს. არსებული წესით კი ამ პროცედურას პირდაპირ სასამართლო აგვარებს. სანიკიძის უწყების წარდგინებით სამინისტროს უფლება ეძლევა, სკოლის დირექტორის კანდიდატურა წარადგინოს. მაგრამ, თუ სკოლამ ეს კანდიდატურა არ მიიღო, უფლება აქვს ის თავის შეხედულებისამებრ დანიშნოს.

პარლამენტარ ნინო გოგუაძეს დაუშვებლად მიაჩნია მასწავლებლობის ჩამორთმევა და თვლის, რომ ეს სასამართლოს პრეროგატივად უნდა დარჩეს. საკანონმდებლო ორგანოს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე დირექტორის დანიშვნის ახალ წესში კორუფციის საშიშროებას ხედავს — სკოლას არ უნდა კანდიდატურა, მაგრამ სამინისტრო მას მაინც წარადგენს, რომელსაც სამეურვეო საბჭო არ დაამტკიცებს. მაშინ სამინისტრო, ვისაც უნდა იმას ნიშნავს, — ეჭვს გამოთქვამს დეპუტატი.

პარლამენტმა სანიკიძის წარდგენილ კანონპროექტს მხარი არ დაუჭირა და მხოლოდ მასწავლებელთა სერტიფიცირების ცვლილებები მოიწონა.

ამის ავტორზე კომპეტენტურის თქმა არ შეიძლება

კანონპროექტთან „განათლების შესახებ“ სერიოზული პრეტენზიები აქვს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარეს, აკადემიკოსს **ივანე კიღურაძეს. მას რჩება შთაბეჭდილება, რომ კანონპროექტის არსი თვით ავტორებსაც არა აქვთ გააზრებული — სერტიფიცირება უქმდება იმის გამო, რომ წლის ბოლომდე ყველა პედაგოგს უნდა მიეღო ის. 62 ათასი მასწავლებლიდან 42 ათასმა ვერ მიიღო სერტიფიკატი. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს მოდელი თავიდანვე უპასუხისმგებლოდ და ზერელედ იყო მიღებული, აღშფოთებას ვერ მალავს აკადემიკოსი. იგი ამბობს, რომ კანონში ისიც არის შესატანი, რომ გარდამავალ პერიოდში, სანამ ახალი სქემა ამოქმედდება, ყველას შეუნარჩუნდება მასწავლებლის უფლება და არც ერთი პედაგოგი არ დარჩება სამსახურის გარეშე. კომიტეტის თავმჯდომარე განმარტებით ბარათსაც ეხება — განმარტებითში უფრო მეტი წერია, ვიდრე კანონში. არ გამიგია ისეთი ნორმა, სადაც კანონში ერთი ეწეროს და განმარტებით ბარათში — სულ სხვა. ამის შემდგენზე კომპეტენტურის თქმა შეიძლება?** — კითხულობს ივანე კიღურაძე, რომელსაც მიაჩნია, რომ კატეგორიულად დაყოფის სერტიფიცირების მოდელი შესაცვლელია და გასაკეთებელია ახალი სქემა — მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი და წამყვანი მასწავლებელი, როგორც ეს უნივერსიტეტებშია. იგი თვლის, რომ ეს თანამდებობები უნდა იყოს და არა წოდებები, რომელთა მაძიებლებიც კონკურსის წესით აირჩევიან.

კოლეგის შეფასებაზე უფრო კრიტიკულია განათლების, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ზურაბ ვახანია. იგი თვლის, რომ კანონის დამტკიცების შემთხვევაში მთლიანად იკარგება სამართლიანობა, შეფასებები მოხდება** ზერელედ. მაგალითად მოჰყავს კანონპროექტით გათვალისწინებული მასწავლებლის მიერ კლასის შეფასების შესაძლებლობა. დოკუმენტში არანაირად არ ჩანს, რა დონეზე და როგორ უნდა მოხდეს ეს გამოკვლევა. კატეგორიას მიანიჭებენ მას, ვისაც დოკუმენტების, თანაც ყალბის, უფრო დიდი დასტა ექნება.

აკადემიკოსი იგონებს ბიძინა ივანიშვილის დაპირებას გამოცდების გაუქმების თაობაზე. ისინი კი არ გაუქმდა, შენარჩუნდა და იანვრიდან, ვისაც არ ექნება ატესტაცია ჩაბარებული, სამსახურს დაკარგავს. იგი შემმოწმებლისა და შემოწმების სისტემასაც იწუნებს — **საერთოდ უცოდინარი ადამიანები ზედმეტად თვითდაჯერებულები არიან. ბევრი უსაქმური, ყავის მომდუღებელი ჰყავს სამინისტროს და, ალბათ, შემოწმებაზე მათ გაუშვებენ. ამათ შეხედულებებზე იქნება დამოკიდებული მასწავლებელთა მთლიანი კონტინგენტის ბედი.**

სააკაშვილის დროს, იხსენებს ზურაბ ვახანია, ზოგ მასწავლებელს გამოცდების ჩაბარების დროს 15-18 ქულას აკლებდნენ შეგნებულად, მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმწიფოს სერტიფიცირებული პედაგოგისათვის დანამატი არ მიეცა. ზემოდან იყო ამგვარი მითითება.

გამოცდილი ხალხის მოსაზრებებს სრულად იზიარებს „მასწავლებელთა ლიგის“ თავმჯდომარე **მანანა ნიკოლაიშვილი** და აცხადებს, რომ **მიმინოშვილის** უწყებამ ერთი სერტიფიცირების გამოცდების ნორმალურად ჩატარება ვერ უზრუნველყო და ერთბაშად 4 გამოცდის ჩაბარებას მოაბამს თავს? იგი მიიჩნევს, რომ ეს აბსურდული სქემაა და აღსრულება არ უწერია.

„გოგოლის გმირები“

გამოთქმულ შენიშვნებზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი **მანანა რატიანი პასუხობს, რომ სუბიექტივიზმის გამოსარიცხად მის უწყებაში იქმნება მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც პორტფოლიოში მასწავლებლის შეფასებას მიადევნებს თვალყურს. იქმნება საიდენტიფიკაციო ჯგუფი (კომისია) და თუ კი პედაგოგი შეფასებით უკმაყოფილო იქნება, შეეძლება იქ გაასაჩივროს.** რატიანისვე განმარტებით, კანონპროექტის დანართში მხოლოდ პუნქტებია შეტანილი, „იმის იქით კი დგას სქემის 40-გვერდიანი დანამატი“, — ამბობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-მრჩეველი.

საკანონმდებლო ცვლილებების კრიტიკოსთა საპასუხოდ განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე აცხადებს, რომ მისთვის მისაღებია კანონპროექტის კორექტივება და რომ მას ამ საკითხებზე კომპეტენტური მოსაზრება არ მოუსმენია. მინისტრის გამოხმაურებამ განაცვიფრა აკადემიკოსი ივანე კიღურაძე, რომელმაც თქვა, რომ სანიკიძის კომპეტენტური მოსაზრება სერთოდ არაფერზე სმენია. მისი განცხადებები არ აინტერესებს. პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეს სანიკიძესთან პრესის მეშვეობით დებატებში შესვლას არ აპირებს და ამ თემაზე საუბარი მინისტრთან, პარლამენტში ურჩევნია.

ექსპერტები, სპეციალისტები, განათლების სფეროს მუშაკები ერთხმად აცხადებენ, რომ მასწავლებელთა შემოწმებებზე მილიონების ხარჯვას, უმჯობესია, ეს თანხები მათ კვალიფიკაციის ასამაღლებლად იქნეს მიმართული. ზოგიერთი სამინისტროდან შესამოწმებლად გაგზავნილთ (თუ სანიკიძის წარდგენილი დაამტკიცა პარლამენტმა და კანონის ძალა მიეცა) გოგოლის „რევიზორის“ გმირის ჩიჩერინის როლსაც უწინასწარმეტყველებს. ისინი ასევე ხაზს უსვამენ, რომ ყოველი მინისტრის შეცვლაზე კანონი არ უნდა იცვლებოდეს.

ზაზა ბილიხოძე

ეპიტაფია

ზივი ბიბილეიშვილი

საქართველოს სამედიცინო საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ექიმი მეან-გინეკოლოგი, საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინისა და ადამიანის ეკოლოგიის მეცნიერებათა და საქართველოს სამედიცინო სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **ზივიბეგ ვიქტორის ძე ბიბილეიშვილი.**



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1958-1968 წლებში ზივი ბიბილეიშვილი მუშაობდა ქ. თბილისის სხვადასხვა სამშობიარო სახლებში ექიმ მეან-გინეკოლოგად. 1968 წელს არჩეული იქნა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგიის II კათედრაზე ასისტენტად.

1970 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა აკად. კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ჯერ ლაბორატორიული სექტორის და II სამეანო განყოფილების ხელმძღვანელად, 1977 წლიდან დირექტორის მოადგილედ სამკურნალო დარგში, ხოლო შემდეგ დირექტორის მოადგილედ მეცნიერების დარგში.

1984 წლიდან შეთავსებით მუშაობდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეცნიერებისა და სამეცნიერო დაწესებულებების სამმართველოს მთავარ სპეციალისტად და სხვადასხვა დროს ასრულებდა რესპუბლიკის მთავარი მეან-გინეკოლოგის მოვალეობას.

1989 წლიდან (შეთავსებით) მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული, სანჰიგიენური და სტომატოლოგიური ფაკულტეტების მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის პროფესორად და მის მიერ დაარსებულ (საქართველოში პირველად) პერინატოლოგიის და ბავშვთა გინეკოლოგიის კურსის ხელმძღვანელად.

1966 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ორსულობის, მშობიარობისა და ლოგინობის ხანის კლინიკურ-ბიოქიმიური დახასიათებისათვის“, ხოლო 1977 წელს — სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სამშობიარო მოქმედების სისუსტე და მისი მკურნალობის კომპლექსური მეთოდი“.

ბატონი ზივი არჩეული იყო საკავშირო ბიოქიმიკოსთა სამეცნიერო საზოგადოების წევრად. იყო საქართველოს სამედიცინო ბიოფიზიკოსთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს წევრი, რესპუბლიკური ვირუსული ჰეპატიტების ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი, საერთაშორისო ფონდის „ბავშვი და გარემოს“ ვიცე-პრეზიდენტი.

მიღებული აქვს მონაწილეობა, როგორც მომხსენებელს, მრავალი კონფერენციის, ყრილობის სიმპოზიუმისა და კონგრესის მუშაობში როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ.

პროფესორმა ზივი ბიბილეიშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ორსულთა და მელოგინეთა სისხლში მიკროელემენტების შემცველობის შესწავლაში.

მის მიერ პირველად მოწოდებულ იქნა სამშობიარო მოქმედების სისუსტის სამკურნალოდ ბუფერული ხსნარი, რომელიც წარმატებით გამოიყენებოდა სამშობიარო სახლებში.

მისი სამეცნირო მოღვაწეობის ძირითადი მიმართულება იყო: ქალის, ნაყოფისა და ახალშობილის ორგანიზმში მიმდინარე ბიოქიმიური და ბიოფიზიკური პროცესების შესწავლა სუბუჯრედისა და მოლეკულის დონეზე ორსულობის და მშობიარობის დროს; ახალი ტექნოლოგიების შექმნა და გამოყენება პერინატოლოგიასა და მეანობა-გინეკოლოგიაში.

მას გამოქვეყნებული აქვს 114-მდე ნაშრომი. მათ შორის, 4 მონოგრაფია და 6 მეთოდური რეკომენდაცია.

მისი ხელმძღვანელობით დაცულია რამდენიმე სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია. 2000 წელს პროფესორი ზივი ბიბილეიშვილი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი პიროვნება, ბრწყინვალე ექიმი, კარგი მამა და გულისხმიერი ადამიანი. ბატონი ზივის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგების, მეგობრებისა და მადლიანი პაციენტების გულში.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის, ქართული მიწა.

საქართველოს პერინატოლოგთა და მეან-გინეკოლოგთა ასოციაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი, აკად. ჩაჩავას სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკა.

◎ ინფორმაცია

მართვის მოწმობის მსურველები ახალი ბილეთებით გამოცდას 15 დეკემბრიდან ჩააბარებენ

მართვის მოწმობის აღების მსურველები გამოცდას ახალი ბილეთებით ჩააბარებენ. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან აცნობეს, ბილეთები კვლავ იქნება ქართულ, აფხაზურ, ოსურ, ინგლისურ, თურქულ, რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. მომსახურების სააგენტოში განმარტავენ, რომ 2013 წლის დეკემბრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა საგზაო მოძრაობის შესახებ უსაფრთხოების კანონი, რომლის მიხედვითაც იყო შექმნილი ძველი საგამოცდო ბილეთები. ამავდროულად, ამოქმედდა ახალი კანონი და სწორედ ამ კანონზეა მორგებული მართვის მოწმობის ახალი ბილეთები. კერძოდ, ახალი კანონის მიხედვით, განსაზღვრულია, რომ ძველი ბილეთები ახლის დამტკიცებამდე იმოქმედებდა. მომსახურების სააგენტოს ცნობით, კი ახალი ბილეთები მინისტრის ბრძანების საფუძველზე, 21 ოქტომბერს დამტკიცდა და ძალაში 15 დეკემბრიდან შედის.

„საქართველო იღებს ვალდებულებას, განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს სხვადასხვა სფეროში. ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს დირექტივა მართვის მოწმობის თაობაზე ითვალისწინებს მართვის მოწმობის გაცემის და გამოცდების ჩაბარების წესის ამ დირექტივასთან დაახლოებას, რის საფუძველზეც განხორციელდა ცვლილებები“, — აცხადებენ მომსახურების სააგენტოში.

მათი განმარტებით, ახალ ელექტრონულ ბილეთებში დახვეწილია კითხვის როგორც შინაარსი, ასევე ფორმა და ვიზუალი.

ახალ ბილეთებში აღქმის გასაიოლებლად გამოყენებულია საქართველოს ავტომაგისტრალებისა და ქუჩების ფოტო-ვიდეომასალა. ამასთან, ელექტრონული ტესტირებისას მეტი თვალსაჩინოებისთვის შესაძლებელია, საგზაო მოძრაობის კონკრეტული ელემენტის ახლო მანძილიდან დანახვა.

◎ თბილისობა – 2014

ბებერი თბილისის ახალგაზრდული დღესასწაული

კიდევ ერთი ლამაზი დღეობა გადაიხადა გასულ უქმეებზე ჩვენმა სათაყვანო თბილისმა, კიდევ ერთი დიდებული მასპინძლობა გაუწია დედაქალაქმა საკუთარ დიდ-პატარა მკვიდრს, ჩამობრძანებულ სტუმარს.

საზეიმო თავყრილობებს, სპორტულ შეჯიბრებებს, ნაირ-ნაირ წარმოდგენებს და კონცერტებს, ათასნაირ სხვა გასართობ, სახალისო ღონისძიებას უკლებლივ ყველა თბილისობის დღესასწაულის გულმა, დედაქალაქის უძველესმა კუთხეებმა – რიყემ და აბანოთუბანმა უმასპინძლეს.

განსაკუთრებით გამორჩეული საზეიმო ღონისძიებები ევროპის მოედანზე გაიმართა, რომელიც დღისით პატარა თბილისელებისა და დედაქალაქში სტუმრად მყოფი მათი თანატოლების სრულ განკარგულებაში იყო. შაბათ-კვირას აქ პატარა შემოქმედებმა შეკრებილ აუარება ხალხს თავისი სიმღერა მოასმენინეს და ცეკვა აჩვენეს, ჭიდაობაში ძალა და სისხარტე გამოავლინეს, დიდი ხალისით სრიალებდნენ უზარმაზარი ვეშაპიდან, ნავარდობდნენ საქანელებსა და დახტოდნენ ბატუტებზე, გულმოდგინედ თამაშობდნენ დიდ საჭადრაკო დაფებზე, თავიანთი სადღესასწაულო განწყობა გადაჰქონდათ სახატავ ფურცლებზე ათასფერი ფერადი ფანქრით, ფლომასტერით თუ ცარცით. მოკლედ, დღისით იქაურობა ჭეშმარიტად პატარების სამფლობელო იყო.

აბანოთუბანში თბილისელთა და ქალაქის სტუმართა წინაშე ჩვენებური აზერბაიჯანელი, სომეხი, იეზიდი, ებრაელი, სხვა ეროვნების პატარა წარსდგა თავისი სიმღერებითა და ცეკვებით, მათ მხარი სახელოვანმა ვეტერანებმაც აუბეს.

დიდად სახალისო იყო ფელამუშის დამზადების ცქერა, საკუთარი ხელით ჩურჩხელების ამოვლება, ხალხური რეწვის მრავალნაირი ნივთის – ქოთნების, ფიალების, დოქების, ჭინჭილების შეძენა, ძველებური ეტლებით გასეირნება. ქალაქის მერმა დავით ნარმანიამ კი სტუმართა ერთ ნაწილს მხლებლებთან ერთად მტკვარზე დაცურებულ ტივზე უმასპინძლა ზურნა-დუდუკითა და დოლ-გარმონით.

ისევე, როგორც დედაქალაქის სხვა რაიონებში, რიყეზე უამრავი თეთრი კარავი იყო გაშლილი, სადაც „ღვინის ქალაქში“ საქართველოს ყველა მხარიდან ჩამოტანილი სხვადასხვა დასახელების თეთრი და შავი ღვინო, ჭაჭისა და ხილის არაყი შეეძლო უფასოდ დაეგემოვნებინა ყველა მსურველს, ზედ მიწის თხილი, ნიგოზი და ყველი მიეყოლებინა. იყიდებოდა როგორც ჩვენებური სულუგუნი, პიტნაშეზელილი, გუდისა და სხვა, ასევე გერმანული, ფრანგული და შვეიცარიული ყველი. გასაყიდად გამოტანილი ჰქონდათ თაფლივით სქელი რძე, თავად თაფლი, რომლებსაც ხალხი დიდი ხალისით ეტანებოდა, ბერებს უგემრიელესი უსაფუარო პური ჰქონდათ გამომცხვარი.

მოკლედ, თბილისობა დედაქალაქის მკვიდრთათვის ნამდვილ დღესასწაული იყო, თუმცა კი მათი სიხალისე ძნელად თუ შეედრება იმ აღტაცებას, რომელსაც უკლებლივ ყველა დამსწრე სტუმარი გამოხატავდა, აღფრთოვანებული ეპითეტებს ხომ ბოლო არ უჩანდა.

ბავშვების შემდეგ კი, საღამო ხანს, შაბათსაც და კვირასაც, პატარა თბილისელები სცენებზე უფროსებმა შეცვალეს, რომლებმაც მაყურებლებს სადღესასწაულო პროგრამა შესთავაზეს. ასე იყო როგორც თბილისობის ტრადიციულ ცენტრში, ასევე ყველა რაიონში, სადაც დღესასწაულის მოედნებმა, პარკებმა და სკვერებმა უმასპინძლეს.

– გაისად აუცილებლად ოჯახთან ერთად უნდა გეწვიოთ თბილისობაზე, შვილებსაც ჩამოვიყვანთ და შვილიშვილებსაც, – გვითხრა ნანახ-მოსმენილით გაოგნებულმა გერმანელმა ძალიან სიმპათიურმა წყვილმა.

– ეს რა ხალხი ყოფილხართო! – გვითხრეს დამშვიდობებისას.

მობრძანდით, ქალბატონებო და ბატონებო, გაისადაც სიხარულით გაგიმასპინძლდებით!



ოთარ ტურაბელიძე,
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◎ ინფორმაცია

იშხნის ტაძარზე აღდგენითი სამუშაოები განახლდა

თურქეთში, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში არსებულ იშხნის ტაძარზე აღდგენითი სამუშაოები განახლდა. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტისთვის იშხანში გახდა ცნობილი, სამუშაოები გაზაფხულის შემდეგ შეჩერებული იყო.

ამ დროისთვის მთლიანად იშხნის ტაძარზე ბეტონის ჭერი და ქვემოდან ქვის პერანგია გაკეთებული. მოხსნილია ტაძრის შუაში არსებული კედელი, რომელიც ტაძრის მეჩეთად გადაკეთების დროს ამოაშენეს.



ტაძარში დაწყობილია ხის მასალა, რომელიც სავარაუდოდ შიდა სამუშაოებისა და ტაძრის გადახურვისთვის არის საჭირო. იშხნის საკურთხეველთან გარე პერიმეტრზე გაკეთებულია დრენაჟი, რითაც ტაძრის საძირკველში წყლის ჩადინება აღარ მოხდეს.

ასევე, ეკლესიის დასავლეთის მხარეს, გარედან ამოშენებულია კედელი, რომლის წყობამ აღდგენითი სამუშაოების დაწყების დროს ქართველ სპეციალისტებში უკმაყოფილება გამოიწვია. ქართველი სპეციალისტები ამბობენ, რომ წყობა თურქული ყაიდისაა.

იშხნის ტაძარი წმინდა გიორგის სახელობისაა. იმ ადგილზე ტაძარი პირველად მე-7 საუკუნეში ნერსე ეპისკოპოსს აუშენებია, შემდეგ – საბა იშხნელს. ტაძარი სხვადასხვა დროს გადაკეთეს. ამჟამად ჩვენამდე მოღწეული ტაძარი კი მე-11 საუკუნისაა, ჯვარ-გუმბათოვანი. იშხანი საეპისკოპოსო ცენტრი იყო და მსახურება იქ მე-18 საუკუნემდე სრულდებოდა, ვიდრე უკანასკნელი ბერი არ გარდაიცვალა.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ერთი ეუბნება მეორეს:
– იქ, სახლის უკან ფიცრები რომ აწყვია, შენი ცოლი ჰყავთ წაგორებული და...
– ფეხებზეც არა მკიდია, ეგ ჩემი ფიცრები არ არის!

* * *

შტირლიცი რესტორნიდან თითქმის ფხიზელი გამოვიდა, ფეხი სულ ოდნავ ეშლებოდა... და ამ დროს ვიღაც ვიგინდარამ მას ხელზე დააბიჯა...

* * *

– **ამხანაგო** ლეიტენანტო, თქვენ ხართ იდიოტი!
– კი, მაგრამ ამხანაგო პოლკოვნიკო...
– რაო, ბრძანებას ეურჩები?!.

* * *

ექიმის კაბინეტში ქალიშვილი შედის.
ექიმი ეუბნება:
– გაიხადეთ, გეთაყვა!
– რატომ, ექიმო? – წითლდება ქალიშვილი. – მე ხომ ყური მტკივა?!
– მაშინ თქვენ კაბინეტი შეგეშალათ, მე თვალის ექიმი ვარ!

* * *

ბანკის პრეზიდენტი სამსახურში მოსაწყობად მისულ ბულალტერს ეკითხება:
– ბოლო სამუშაო ადგილზე რამდენი ხანი იმუშავეთ?
– რვა წელი.
– ძალიან კარგი. და რატომ წამოხვედით იქიდან?
– ამნისტია გამოაცხადეს.

* * *

ვაჟი ეუბნება ქალიშვილს:
– ვოცნებობ იმ დღის დაბრუნებაზე, შენ პირველად რომ შეგხვდი... და ისე ჩაგიარო, რომ ზედაც არ შეგხედო!

* * *

– **გუშინ** ფირმიდან „ქმარი ერთი დღით“ სპეციალისტი გამოვიძახე.
– მერე, როგორ მოგეწონა?
– გადასარევი იყო. უთო შეაკეთა, ფარდები ჩამოკიდა, კარზე კლიტე გამოცვალა, გამოაცარიელა მაცივარი და მინი-ბარი, ჩვენი მეზობელი სვეტლანა ჩაიგორა ლოგინში, მე ცხვირ-პირი დამილეწა, ასი დოლარი გამომართვა და წავიდა.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24